



საკვანძო კომპეტენციები

N1'2023



საქართველოს
განათლებისა და
მეცნიერების
სამინისტრო

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

ISSN 2960-9895

საკვანძო კომპეტენციები
წიგნიერება
ენების ცოდნა
მათემატიკური, სამეცნიერო, ტექნოლოგიური და საინჟინრო
ციფრული კომპეტენცია
პიროვნებათშორისი, სოციალური და დამოუკიდებლად სწავლის კომპეტენციები
მოქალაქეობრივი კომპეტენცია
მეწარმეობა
კულტურული გამომახატველობა

საკვანძო კომპეტენციები
N1'2023

გამომცემელი –
მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

სარედაქციო კოლეგია

მანანა ჯინჭარაძე
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინოვაციური განათლების პროგრამის კონსულტანტი

ეკა გეგეშიძე
ეკონომიკის დოქტორი; ააიპ „ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი

ცირა ქობულაძე
სსიპ ბათუმის #16 საჯარო სკოლის დირექტორი

თამარ მორგოშია
სსიპ 175-ე საჯარო სკოლის მეწარმეობისა და სამოქალაქო ეკონომიკის მასწავლებელი

ნანა ედიშერაშვილი
სსიპ გორის #8 საჯარო სკოლის დირექტორი

მერაბ კუცია
საქპატენტის გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის უფროსი, ევროპის პატენტრწმუნებული, საქართველოს პატენტრწმუნებული, ფიზიკის დოქტორი

მთავარი რედაქტორი
ანი კუდუხაშვილი

კორექტორი
მაია წიკლაური

დიზაინერი
ბესიკ დანელია

ფოტოგრაფი
გელა ბედიანაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

მისამართი:

თბილისი,
სანდრო ეულის ქ. 5,
ელფოსტა:
info@tpdc.ge

ISSN 2960-9895

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი

WWW.TPDC.GE

სარჩევი

02 ანი კუდუხაშვილი
საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის

05 ეკა გეგეშიძე
მეწარმეობის, როგორც გამჭოლი კომპეტენციის, თავისებურებები განათლებაში

13 თამარ მორგოშია
მოსწავლეთა კომპანიები

23 მერაბ კუცია
ინტელექტუალური საკუთრება: იდეიდან ინოვაციამდე

30 ნანა ედიშერაშვილი
21 დღე უფრო კრეატიული ცხოვრებისაკენ

ანი კუღუხაშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინოვაციური განათლების პროგრამის მენეჯერი

საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის

2018 წელს ევროკავშირის საბჭომ, ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს სახით, მიიღო ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი – საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის.

დოკუმენტის საფუძველი და მიზანია სწრაფადცვალებად და მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოში თითოეული ადამიანის უნარებისა და კომპეტენციების ფართო სპექტრის განვითარება მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

სარეკომენდაციო ჩარჩოს მიზნებისათვის კომპეტენცია განისაზღვრა, როგორც ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების კომბინაცია, სადაც:

ა. ცოდნა მოიცავს უკვე დადგენილ ფაქტებსა და ციფრებს, კონცეფციებს, იდეებს, თეორიებს და ხელს უწყობს გარკვეული სფეროს ან საგნის გაგებას;

ბ. უნარი წარმოადგენს, შედეგის მისაღწევად, პროცესების განხორციელებისა და არსებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას;

გ. დამოკიდებულება აღწერს იმ განწყობასა და მენტალობას, რომელიც განაპირობებს ქმედებასა და რეაქციას იდეების, ადამიანებისა და სიტუაციების მიმართ.

იმავდროულად, სარეკომენდაციო ჩარჩო ადგენს რვა საკვანძო კომპეტენციას:

- წიგნიერების (კითხვისა და წერის) კომპეტენცია
- მულტილინგვურობის კომპეტენცია
- მათემატიკის კომპეტენცია და კომპეტენცია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ტექნოლოგიებსა და ინჟინერიაში
- ციფრული კომპეტენცია
- პერსონალური, სოციალური და სწავლის (learning to learn) კომპეტენცია
- მოქალაქეობის კომპეტენცია
- სამეწარმეო კომპეტენცია
- კულტურული ცნობიერებისა და გამოხატვის კომპეტენცია.

ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებული ზემოხსენებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მხარს უჭერს ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების მომზადებისა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის უფლებას და სრულად იზიარებს ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიმართებებს. აქედან გამომდინარე, ცენტრის წინაშე გამოიკვეთა მნიშვნელოვანი

გამოწვევა – უზრუნველყოს მასწავლებლებისა და განათლების სფეროს სხვა პერსონალის მხარდაჭერა; ასევე, მრავალფეროვანი სასწავლო მიდგომებისა და კონტექსტის გამოყენება მომზადებისა და სწავლის ხელშეწყობისათვის.

ამ მიმართულებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა განახორციელა არაერთი პროგრამა, პროექტი და აქტივობა, რომელმაც – მასწავლებელთა გადამზადებით, თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და საინტერესო აქტივობების შეთავაზებით, STEAM ლაბორატორიის ამუშავებით, პროგრამული უზრუნველყოფით, ინიციატივების წახალისებით, ინსტრუმენტებისა და რესურსების მიწოდებით, პრაქტიკული

საკვანძო კომპეტენციები მოსწავლეს განიხილავს ცენტრალურ ფიგურად და სთავაზობს მას მომავალზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პერსპექტივას.

საკვანძო კომპეტენციები ავითარებს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს, ისწავლონ დღესაც და მომავალშიც.

სასწავლო მიმართულებებსა და ძირითად კომპეტენციებს შორის პირდაპირი ურთიერთდამოკიდებულებაა: ძღიერდება როგორც სასწავლო მიმართულებები, ასევე ძირითადი კომპეტენციები. ძირითადი კომპეტენციების განვითარება ხელს უწყობს საგნობრივი კომპეტენციების განვითარებას და პირიქით.

მუშაობით, კონსულტირებით, განათლების დონის ამაღლებითა და უნარების გაძლიერებით – ხელი შეუწყო საკვანძო კომპეტენციების განვითარებას მოსწავლეებში.

ჩვენ, ვაგრძელებთ თანამშრომლობას სხვადასხვა ორგანიზაციასთან, რათა საკვანძო კომპეტენციების ევროკომისიის ჩარჩო კიდევ უფრო ეფექტიანად დაინერგოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

და ბოლოს, ჩვენი ჟურნალის საშუალებით:

- ზემოხსენებული საკითხებით დაინტერესებული საზოგადოება გაეცნობა საკვანძო კომპეტენციების დანერგვის კარგი გამოცდილების მაგალითებს, მხარდაჭერის მეთოდოლოგიასა და ტექნიკებს, სასწავლო პროცესში ინტეგრაციის შესაძლებლობებს და სხვ.
- სასკოლო საზოგადოება შეძლებს, აიმაღლოს კომპეტენცია წარმოდგენილი მიდგომების გამოყენებით და სასწავლო გარემოშივე განახორციელოს ცვლილებები სწავლა-სწავლებაში.

ჟურნალის პირველი ნომერი დაეხმარება და მეგზურობას გაუწევს ყველა იმ სკოლას, რომელიც უკვე არის ან მოტივირებულია, რომ გახდეს სამეწარმეო სკოლა. იგი მთლიანად სამეწარმეო განათლებას და მეწარმეობას ეძღვნება, როგორც ერთ-ერთ აუცილებელ კომპეტენციას, რომელსაც შეუძლია სამეწარმეო აზროვნების განვითარება მოსწავლეებში, პიროვნული კომპეტენციებისა და გამოწვევაზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობა, სკოლის გრძელვადიანი მიზნების დაგეგმვა, სკოლის კულტურის წარმოჩენა და ბევრი სხვა სიკეთე.

რა არის სამეწარმეო განათლება, როგორ შეიძლება „სამეწარმეო სკოლის (EntreSchool)“ ორგანიზება, როგორ შეიძლება დაიცვა ინტელექტუალური საკუთრება – აი, კითხვები, რომლებზეც ჩვენი ავტორები დაწვრილებით და პირადი მაგალითებით ისაუბრებენ.

მეწარმეობის, როგორც გამჭოლი კომპეტენციის, თავისებურებები განათლებაში

ეკა გეგეშიძე
ეკონომიკის დოქტორი
ააიპ „ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველოს“
აღმასრულებელი დირექტორი

Junior Achievement-ს თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან. ეს ფართო შესაძლებლობებს აძლევს ორგანიზაციას, მხარი დაუჭიროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, ხოლო სასკოლო საზოგადოებას – ითანამშრომლოს ორგანიზაციასთან და ახალი გამოცდილება შეიძინოს მეწარმეობის მიმართულებით. ჩვენი ჟურნალი ერთგვარი შუამავლისა და გზამკვლევის როლს შეასრულებს დაინტერესებული პირებისათვის.

მთელ მსოფლიოში ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეწარმეობის სწავლებას, რადგან დადგენილია მეწარმეობა ეს არის მდგრადი ეკონომიკური ზრდის, ინოვაციებისა და სამუშაო ადგილების შექმნის მამოძრავებელი ძალა. ამიტომ მოსწავლე ახალგაზრდობისთვის სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება არის პრიორიტეტი მთელი განათლების სისტემისთვის, რათა მოამზადონ თანამედროვე თანამშრომლები და ინოვაციური მომავალი მეწარმეობრივად მოაზროვნე ადამიანები, ეკონომიკური განვითარებისა და მდგრადი საზოგადოებებისთვის. თანამედროვე მსოფლიოში და საქართველოშიც სამუშაო ძალა განიცდის დიდ ტრანსფორმაციას, რაც გამოწვეულია ტექნოლოგიური ცვლილებებით, გლობალიზაციის ეფექტებით, ისეთი კრიზისებით, როგორიცაა Covid-19 პანდემია, შეიარაღებული კონფლიქტები და მიგრაცია. დასაქმების ბაზარზე მზარდი გაურკვევლობაა, გიგ-ეკონომიკისა და მრავალი კარიერის პერსპექტივების გზის გაკვალვისთვის, საჭიროა ძლიერი სამეწარმეო აზროვნება, რათა ადამიანებს შეეძლოთ ადაპტირება და განვითარება, სწრაფად ცვალებად გარემოში.

მეწარმეობრივი კომპეტენციაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია ზუსტად აღვიქვამდეთ ტერმინს „მეწარმეობას“, რადგან საქართველოში მეწარმეობის სწავლებაზე პედაგოგებსა და პროფესორ-მასწავლებლებს არაერთგვაროვანი აღქმა აქვს ამ საკითხთან მიმართებაში და მნიშვნელოვანია, საგანმანათლებლო სექტორის წარმომადგენლებს ქონდეთ ნათელი წარმოდგენა, თუ რას მოიცავს მეწარმეობის კომპეტენცია და როგორი მეთოდებით არის შესაძლებელი მისი სწავლება.

აქვე მნიშვნელოვანია გავაკეთოთ სიტყვის „მეწარმეობა“

ახსნა. საქართველოში ამ სიტყვამ ფართოდ გამოყენება დაიწყო 1994 წლიდან, როცა პარლამენტმა მიიღო „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“, ამიტომ სიტყვის „მეწარმეობა“ სემანტიკა ქართულ საზოგადოებაში უკავშირდება კომერციული საქმიანობას, ანუ ბიზნესის კეთებას. კანონი ასე განმარტავდა სამეწარმეო საქმიანობას „სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად“. თუ დავუკვირდებით კანონის სათაურში გამოყენებულ ტერმინს „მეწარმეთა“ ანუ გამოდის, რომ ეს არის კანონი იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც მოგების მიღების მიზნით რამეს აკეთებენ. თუმცა მასში ახსნილია, სამართლებრივად რა სახის მომგებიანი კომპანიების ჩამოყალიბება შეიძლება საქართველოში. ასეთ კანონს უმჯობესია ერქვას „საწარმოთა შესახებ“, „მომგებიანი საქმიანობის“ ანდა „კომერციის“, სადაც სახელებში ინდივიდზე აქცენტი გადატანილი იქნებოდა საქმიანობაზე. ეს ისეთივეა, რომ „საქართველოს ტყის კოდექსის“ ნაცვლად, პარლამენტს მიეღო „საქართველოს მეტყევეების კოდექსი“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4874066 ამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის დასახელება იწვევს ტერმინის არასწორ აღქმას საზოგადოებაში და ამასთანავე მეწარმეობის სწავლება არ არის მხოლოდ მომგებიანი საქმიანობის შესახებ სწავლება.

გივი ზალდასტანიშვილის სახ. ამერიკული აკადემია თბილისში მოსწავლეთა კომპანია - IRIGO

მეწარმეობის (ინგლისურად entrepreneurship) ცნების, იგივე რაც „მეწარმეობის უნარის“ ან მეწარმეობის კომპეტენციის ერთ-ერთი სრულყოფილი განმარტება ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰოვარდ სტივენსონმა 1983 წელს შემოგვთავაზა, რომელსაც მეწარმეობის სწავლების „ნათლიას“ უწოდებენ. მისი განმარტებით – **„მეწარმეობა არის სწრაფვა შესაძლებლობების გამოყენებისკენ, შესაბამის რესურსებზე კონტროლის გარეშე“. „სწრაფვა“** ნიშნავს განმხოლოებულ, შეუპოვარ, მკაცრ ფოკუსირებას კონკრეტული საკითხის გარშემო. მეწარმეები ხშირად აღიქვამენ შესაძლებლობათა შეზღუდული და „ვიწრო ფანჯრების“ არსებობას. საჭირო რესურსების მოსაზიდად და დროში შეზღუდული სახსრების გამოყენების მიზნით მათ სჭირდებათ, რომ დაინახონ პროგრესი, რომელიც იმავდროულად იქნება გაზომავდი. შესაბამისად, მეწარმეებს მოქმედებების მიზანშეწონილობისა და განხორციელების დროს ყოველთვის აქვთ „გადაუდებელი

აუცილებლობის“ შეგრძნება, რაც იშვიათია შემდგარ კომპანიებში, სადაც ყველა შესაძლებლობა მიბმულია პორტფელიოს ან/და რესურსებზე და წარმოადგენს მათ ნაწილს, რომელიც უკვე არსებობს და რეალურად არის ხელმისაწვდომი. **„შესაძლებლობა“** ეხება და გულისხმობს სიახლეთა კატეგორიების ოთხი შესაძლო მიმართულებიდან ერთი ან მეტი არჩევნის გაკეთების შესაძლებლობას. იგი შეიძლება იყოს: 1) პიონერული, ჭეშმარიტად ინოვაციური პროდუქტი; 2) იდეა, ახალი ბიზნეს მოდელი; 3) არსებული პროდუქტის უკეთესი ან უფრო იაფი მოდელის შექმნა; 4) არსებული პროდუქტის მომხმარებელთა სხვა კატეგორიისთვის შეთავაზება. ეს შესაძლებლობები არ არის ურთიერთგამომრიცხველი. მაგალითად, ახალმა საწარმომ შეიძლება გამოიყენოს ახალი ბიზნეს მოდელი ან ინოვაციური პროდუქტი. გარდა ამისა, არც ზემოაღნიშნული სიაა სრული. კერძოდ, მასში წარმოდგენილი არ არის საწარმოთა უნიფიცირების დროს პროდუქტის ერთობლივად წარმოების პროცესში ორგანიზაციული კომპლექსის შესაძლებლობები და უპირატესობები. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზოგჯერ მაღალი მოგების მიღება და გაუმჯობესების შესაძლებლობები უშუალოდ არ უკავშირდება სიახლეთა კატეგორიას, და შესაბამისად, იგი არ არის მეწარმეობა. **„რესურსებზე კონტროლის გარეშე“** – ეხება რესურსების შეზღუდვას. ახალ კომპანიებში, სტანდარტულ შემთხვევაში, მათი დამფუძნებლები აკონტროლებენ მხოლოდ საკუთარ ადამიანურ, სოციალურ და ფინანსურ კაპიტალს. მათგან განსხვავებით, ბევრი მეწარმე კი ირჩევს „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკას. ისინი მინიმუმამდე ამცირებენ პირად დანახარჯებს და ინარჩუნებენ რა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ასეთ მდგომარეობას, ახდენენ კომპანიაში საკუთარი დროის და საჭიროების შემთხვევაში თანხის ინვესტირებას.

სამეწარმეო კომპეტენციების გამომუშავებისას საგანმანთლებლო სექტორისათვის სახელმძღვანელო დოკუმენტია სამეწარმეო კომპეტენციის ჩარჩო (EntreComp), რომელიც ევროკომისიამ 2016 წელს შეიმუშავა და გამოაქვეყნა, სადაც ახსნილია, რომ სამეწარმეო კომპეტენცია ეს არის ფართო საკვანძო ინდივიდების, ჯგუფების, ორგანიზაციების კომპეტენცია, რომელიც არსებობის ყველა სფეროში. კომპეტენციების არსებობისას, ხდება შესაძლებლობების დერეფნის აღმოჩენა, სხვადასხვა იდეებით და შეუპოვარი შრომით მიიღწევა, მათი გარდაქმნა ღირებულებად, რომელიც შეიძლება

იმისათვის, რომ აღამიანმა შექმნას წარმატებული ცხოვრება და შეძლოს მონაწილეობის მიილება სიმდიდრის შექმნაში, აუცილებელია უამრავი უნარის მობილიზება. აქედან გამომდინარე, საკვანძო კომპეტენციები ხდება მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მოზარდების უნარს, მონაწილეობა მიილონ სახელმწიფო კეთილდღეობისა და, ასევე, საკუთარი კარიერის შექმნაში.

მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის იდეა ცხადყოფს, რომ აღამიანები ბუნებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ინტელექტი, ნიჭი, ემოციური მგრძნობელობა, ფსიქოლოგიური გამჭრიახობა - ეს არის ის, რისი განვითარებაც აღამიანს თავად შეუძლია.

გოგიტა კიკნაძის სახელობის ქალაქ თბილისის N182 საჯარო სკოლის მოსწავლეთა კომპანია - CANDLERA

იყოს ფინანსური, კულტურული ან სოციალური. ანუ ფოკუსირება ხდება ღირებულების შექმნაზე, მიუხედვად კონტექსტისა. ის შესაძლებელია იყოს ნებისმიერ დარგში და ღირებულების ჯაჭვში. მეწარმეობა ღირებულების შექმნას კერძო, საჯარო და მესამე სექტორში. მოიცავს სხვადასხვა სახის მეწარმეობას, მათ შორისაა შიდა კორპორაციული მეწარმეობა, სოციალური მეწარმეობა, ციფრული და მწვანე მეწარმეობა. მეწარმეობა – როგორც კომპეტენცია ვრცელდება ცხოვრების ყველა სფეროზე. ის საშუალებას აძლევს მოქალაქეებს პიროვნულად განვითარდნენ, რათა აქტიურად იყვნენ ჩართულნი სოციალურ განვითარებაში, შევიდნენ დასაქმების ბაზარზე, დასაქმებულის ან თვითდასაქმებულის სტატუსით, წამოიწყონ ახალი საქმე ანდა პროექტი, რომელსაც ექნება კულტურული, სოციალური ან კომერციული მოტივი. სამეწარმეო კომპეტენციათა ჩარჩო დოკუმენტი გვთავაზობს სამეწარმეო კომპეტენციის სრულ სარეკომენდაციო სტრუქტურას, რომელიც შედგება კომპეტენციის 3 სფეროსა და 15 კომპეტენციისაგან, 8 საფეხურიანი განვითარების მოდელისა და 442 ყოვლისმომცველი სასწავლო შედეგებისგან. კომპეტენციების სამი სფეროა: 1. იდეები და შესაძლებლობები; 2. რესურსები და 3. მოქმედება. სფეროების მიხედვით მიმართულები შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: იდეები და შესაძლებლობებში შედის შემდეგი კომპეტენციები: შესაძლებლობების აღმოჩენა; კრეტიულობა; ხედვა; იდეების შეფასება; და ეთიკური და მდგრადი აზროვნება. რესურსების სფეროს კომპეტენციებია: თვითშეგნება და თვითეფექტურობა; მოტივაცია და შეუპოვრობა; რესურსების მობილიზება; ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერება; და სხვების მობილიზება. მოქმედების სფერო მოიცავს: ინიციატივის აღებას; დაგეგმვას და მართვას; ბუნდოვანი და გაურკვევლობის რისკის გადალახვას; სხვებთან ერთად მუშაობას; და სწავლას გამოცდილების მიღებით. დოკუმენტი ასევე მითითებულია, რომ „სამეწარმეო კომპეტენცია შესაძლოა გამოყენებულ იქნას, როგორც რეკომენდაცია ფორმალურ განათლებასა და სატრენინგო სფეროში სასწავლო პროგრამის შემუშავების პროცესში. ამასთანავე, არაფორმალური სწავლების აქტივობებსა და პროგრამებში. (მაგალითად, არსებული ორგანიზაციების შიდა კორპორაციული კულტურის განვითარება). მეწამეობის კომპეტენციების ამგვარი სახითა და სტრუქტურით შემოთავაზება და განხორცილება ახდენს განათლებისა და დასაქმების

სფეროებს შორის მჭიდრო კავშირების ჩამოყალიბებას.

მნიშვნელოვანია ასვე ვიცოდეთ როგორი როლი აქვს მეწარმეს ქვეყნის დემოკრატიულად განვითარებაში. საბაზრო ეკონომიკის მოწყობის ქვეყნებში ცენტრალური ფიგურა იყო და არის მეწარმე, რეალურად მეწარმეები მართავენ ქვეყანას. მეწარმეულ უნარის ადამიანები, ინოვაციური მეთოდებით წარმოებისა და მომსახურების ახალ მიდგომებს და ხერხებს იყენებენ, არიან ამაყები იმითი, რომ საკუთარი საქმიანობით და ძალისხმევით: უზრუნველყოფენ ოჯახს, ასაქმებენ სხვებს, ზრუნავენ გარემოზე, იხდიან გადასახადებსა და ანგარიშვალდებულებას სთხოვენ მთავრობას.

ზოგადად თავისუფალი მეწარმეობისა და ბაზრების ფუნქციონირება ქვეყნის კანონებსა და ხალხის ტრადიციულ ფასეულობებს ემყარება. თავისუფალი მეწარმეობის სისტემა ხუთ ე.წ. ბურჯს ეფუძნება, ესენია: კერძო საკუთრება, ფასების სისტემა, კონკურენცია, მეწარმეობის უნარი და დემოკრატიულ მთავრობას. ცოტათი შევეხოთ თითოეულ მათგანს. 1. საკუთრების უფლებას კონსტიტუცია იცავს, საქართველოს კონსტიტუციის 19-ე მუხლი გვეუბნება, საკუთრების უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. კერძო საკუთრების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება, ყოველთვის არის ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი. კერძო საკუთრების უფლება მოიცავს არჩევანს და პასუხისმგებლობას ფლობილი ნივთის მიმართ. კერძო საკუთრების ფლობის, მართვის და განკარგვის უფლება მფლობელებისათვის საკუთარი რესურსების ეფექტიანად გამოყენების მძლავრი სტიმულია. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მოქალაქეებს საკუთრების ფლობის, საკუთრების გამოყენებით ბიზნესის წარმოების და შემოსავლის მიღების უფლება აქვთ.
2. ფასების სისტემა კერძო საკუთრების ფლობის უფლებებთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ადამიანები ფასებს სხვადასხვა საქონლის, მომსახურებისა და რესურსების გაცვლის პროცესში ადგენენ.

ქ. თბილისის N175 საჯარო სკოლის მოსწავლეთა კომპანია - HELMET VISION

ამის გამო ეკონომისტები საბაზრო ეკონომიკას ხშირად ფასების სისტემასაც უწოდებენ. მყიდველები და გამყიდველები გაცვლის დროს ფასებით ხელმძღვანელობენ. ერთის მხრივ, ფასები მაცნის როლს ასრულებენ და პროდუქციისა და რესურსების ბაზრებს ინფორმაციას „აწვდიან". ფასები საქონლის ხარისხზე არ მიუთითებენ, მაგრამ საწარმოებს ამცნობენ, თუ როგორ აფასებენ მომხმარებლები ამა თუ იმ პროდუქციას და, აგრეთვე, სხვადასხვა რესურსის გამოყენების ალტერნატიულ ღირებულებებს. გარდა ამისა, ისინი გვაწვდიან ინფორმაციას, თუ რა უჯდებათ საწარმოებს რესურსების შეძენა და როგორია ცალკეული პროდუქციის წარმოების ღირებულება. 3. საბაზრო კონკურენცია თავისუფალი მეწარმეობის მესამე ბურჯია. ყველა საზოგადოებაში ადამიანები რესურსების და პროდუქციის შეზღუდულობის გამო არსებული რესურსებისათვის ერთმანეთს კონკურენციას უწევენ. ამ კონკურენციამ მრავალნაირი ფორმა შეიძლება მიიღოს, მაგრამ საბაზრო ეკონომიკაში ადამიანები ერთმანეთს ნებაყოფლობითი გაცვლის მეშვეობით უწევენ კონკურენციას. კონკურენცია რესურსების ბაზრებზე. საწარმოები ერთმანეთს საწარმოო რესურსებისათვის უწევენ კონკურენციას, როდესაც ბაზრებზე ფულს სთავაზობენ მათთვის საჭირო ისეთი რესურსებისათვის, როგორიცაა კვალიფიციური მუშახელი, ნავთობის საბადოები და რთული მანქანა-მოწყობილობები. რესურსების გამყიდველები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ თავიანთი მცდელობით, უფრო პროდუქტიული გახადონ საკუთარი რესურსები. კარგი განათლებით, საკუთარი ნიჭისა და უნარების განვითარებით ადამიანებს საკუთარი შრომითი რესურსები უფრო პროდუქტიული გახდნენ. **თავისუფალი მეწარმეობის ეკონომიკა საბაზრო კონკურენციას ადამიანთა შორის მეტოქეობის გასაჩაღებლად ისეთ საქმიანობებში იყენებს, რომლებიც წარმოებას, დასაქმებას და შემოსავლებს გაზრდის.** 4. წამყვანი ბიზნესმენები მეწარმეობის უნარის — მეწარმისათვის დამახასიათებელი ლიდერის თვისებებისა და ნოვატორული სულისკვეთების წყალობით უწევენ ერთმანეთს კონკურენციას და რეაგირებენ ბაზრის ცვალებად პირობებზე. მეწარმეობის უნარი ეს არის ხელსაყრელი შესაძლებლობების დანახვა და მათზე დროული რეაგირება ბაზარზე ახალი ან უკეთესი საქონლისა და მომსახურების შემოსატანად. თავისუფალი მეწარმეობა ხელს უწყობს და ახალისებს მეწარმეობის უნარს საბაზრო სიგნალებისა და სტიმულების უზრუნველყოფით. 5. დისკუსია თემაზე, დემოკრატიული მთავრობის გარანტი საბაზრო ეკონომიკაა, თუ პირიქით, ალბათ, კიდევ საუკუნეები გაგრძელდე-

ბა და ძალიან შორს წაგვიყვანს. მთავარი ერთია — თავისუფალი ადამიანი თავისუფალ არჩევანს აკეთებს იმის შესახებ, საკუთარი ნაშრომით ბაზარზე განთლება შეიძინოს, ფუფუნების საგნები თუ საკვები. ეს პროცესი არჩევნებს ჰგავს, როცა ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სურვილის მიხედვით, ხმა მისცეს პრეზიდენტს, ან რომელიმე პარტიას. ყველაფერი არჩევანის თავისუფლებას ეფუძნება, რომელიც სახელმწიფოში პიროვნების თავისუფლების შედეგია. „ბურჯებს“ — კერძო საკუთრებას, ფასების სისტემას, საბაზრო კონკურენციას, მეწარმეობის უნარსა და დემოკრატიულ მთავრობას — არსებითი მნიშვნელობა აქვს საბაზრო ეკონომიკის ნებისმიერი ქვეყნის წარმატებისათვის. სამეწარმეო უნარს თანამედროვე განათლებაში სამეწარმეო კომპეტენცია ეწოდება.

ზოგადად მეწარმეობის კომპეტენციის გამომუშავების მეთოდები, რა თქმა უნდა განსხვავებულია, თუმცა ერთ-ერთი საუკეთესო და დროში გამოცდილი არის ჯუნიორ ეჩივმენტის მიერ 100 წლის წინ შემუშავებული კომპანიის მეთოდი, რომელსაც ააიპ „ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო“ იყენებს არჩევითი საგნის მეწარმეობის საფუძვლების სწავლებისას. კომპანიის სწავლების მეთოდის გამოყენებით ხდება ახალგაზრდების გააქტიურება და მოტივირება, საკუთარი კომერციული და სოციალური ბიზნეს იდეების გენერირებისათვის, სასწავლო მიზნების მქონე მცირე სიმულაციური კომპანიების ფორმირება საგანმანათლებლო სივრცეში (სწავლება კეთებით). ამ მეთოდთან ერთად საგანში გამოყენებულია ბიზნესის საკითხები და მეწარმეობის კომპეტენციების გამომუშავების სავარჯიშოები სახელმძღვანელოს სასწავლო მასალასთან ინტეგრაციაში.

პროგრამის განხორციელებისას მოსწავლეები სწავლობენ თუ როგორ მივიდნენ ბიზნეს იდეიდან რეალურ ბიზნეს საქმიანობამდე. ისინი ახდენენ თავიანთი რეალური კომპანიის ფორმირებას და იმის აღმოჩენას, თუ როგორ შეიძლება იფუნქციონიროს ბიზნესმა. პროგრამაში ჩართულები ირჩევენ მმართველ დირექტორთა საბჭოს თანატოლებიდან, ახდენენ კაპიტალის ფორმირებას/მოზიდვას ბაზარზე გააქვთ მათ მიერ არჩეული და ნაწარმოები საქონელი და მომსახურება. პროგრამის ბოლოს ისინი ახდენენ ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას თავიანთი აქციონერების წინაშე.

ეს მეთოდი საქართველოში გამოიყენება საშუალო საფეხურის პროგრამაში, თუმცა ევროპის

გივი ზალდასტანიშვილის სახ. ამერიკული აკადემია თბილისში მოსწავლეთა კომპანია - LLAMPA

სხვადასხვა ქვეყნები ასევე იყენებენ საბაზო საფეხურზე „მინი კომპანიის“, ხოლო დაწყებით საფეხურზე „მინი-მინი კომპანიის“ პროგრამას. საბაზო და დაწყებით საფეხურზე მეთოდი იგივეა თუმცა მასალები და მასშტაბურობა განსხვავებული. საქართველოში მეწარმეობის საფუძვლების საგანი არჩევით საგნებს 2015 წლიდან დაემატა და საქართველოს 300 მეტი სკოლა ყოველწლიურად ირჩევს, რის საფუძველზეც მხოლოდ ახალგაზრდების მხოლოდ 10% აქვს საშუალება გამოგიმუშავოს მეწარმეობრივი კომპეტენციები ისიც საშუალო საფეხურზე.

საქართველოში სხვადასხვა საგნებში მეწარმეობის გამჭოლი კომპეტენციის გამომუშავების ცოდნა და მეთოდების დეფიციტია, რადგან ისინი როგორც ვიცით, საბჭოთა სკოლის მემკვიდრეები არიან. იმ დროს ქვეყნის ეკონომიკური მოწყობა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ტიპის იყო და „საქმოსნობა“, „კომერცია“ და „მეწარმეობა“ დასჯადი. ამასთანავე ითვლებოდა, რომ მსგავსი აქტივობა არ იყო განათლებული ადამიანის საქმე და ისინი საზოგადოებაში მიიჩნეოდნენ ძალიან დაბალი ფენის წარმომადგენლად. შესაბამისად ბავშვებიც იზრდებოდნენ მსგავს გარემოში და უყალიბდებოდათ შესაბამისი ცოდნა, განწყობა და ქცევა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 32 წელია გასული და ზრდასრულ საზოგადებას ცოდნა აქვს, რომ მეწარმეობა, კომერცია და საქმოსნობა კარგია, განწყობის და ქცევების შეცვლა უმეტესმა მათგანმა ვერ შეძლო. ამ პრობლემის გასაღები კი დევს დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიაში, რომელსაც ინგლისურად ქვია “Theory of Attitude and Set“, სადაც ის ამტკიცებს, რომ პირველადი განწყობები ადამიანში ყალიბდება 4-დან 6 წლამდე, მეორადი განწყობები 6-12, ხოლო 12 წლის შემდეგ განწყობის და ქცევის შეცვლა ძალიან რთულია. თავისთავად სამეწარმეო ცნობიერების გათავისება და შემდგომ მისი მოსწავლეებამდე მიტანა გამჭოლი კომპეტენციის სახით, საქართველოს მასწავლებლებისთვის, რომელთა 70% არის 40 წელზე უფროსი ასაკისა გამოწვევას წარმოადგენს, თუმცა ბევრი პედაგოგი საკუთარ თავზე მუშაობითა, პროექტებსა და საგანმანთლებლო პროგრამაში ჩართვით ამ გამოწვევას უმკლავდება.

მოსწავლეთა კომპანიები

თამარ მორგოშია

175-ე საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების, მეწარმეობისა და სამოქალაქო ეკონომიკის პედაგოგი

თამარ მორგოშია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერია მეწარმეობის მიმართულებით. მას, როგორც „მეწარმეობის“ პედაგოგს, კოლეგებთან და მოსწავლეთა კომპანიებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. თამარი ინტენსიურად თანამშრომლობს Junior Achievement-თან, რომლის პროგრამის საფუძველზეც, მოსწავლეებთან ერთად, შექმნა მოსწავლეთა კომპანიები. სწორედ ამ გამოცდილებას გვიზიარებს ის თავის წერილში, რაც სანიმუშო შეიძლება გახდეს სხვა სკოლებისთვისაც.

აქვე შეგახსენებთ, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და Junior Achievement-ს შორის გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც საშუალებას აძლევს ყველა საგნის მასწავლებელს, თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები დასახონ ამ ორგანიზაციასთან და შეიძინონ მეტი გამოცდილება.

ამ სტატიაში მინდა ვისაუბრო და გაგიზიაროთ ის გამოცდილება, რომელიც წლების განმავლობაში დამიგროვდა „მეწარმეობის საფუძვლების“ სწავლების შესახებ. რა არის მეწარმეობა? მეწარმეობა არის საქმიანობა, რომლის დროსაც ხდება ცოდნისა და უნარების გამოყენება საქონლისა და მომსახურების შესაქმნელად.

მეწარმეობა, ასევე, ღირებულების მქონე რაიმე ახლის შექმნის პროცესია.

2015-2016 სასწავლო წლიდან საქართველოს სხვადასხვა საჯარო სკოლაში, საშუალო საფეხურზე, დაინერგა არჩევითი საგანი „მეწარმეობის საფუძვლები“.

ჩვენი ურთიერთობა Junior Achievement-თან მაშინ დაიწყო, როდესაც 2008 წელს პირველი წარმატებული პროექტი განვახორციელეთ. ამ ორგანიზაციასთან დღემდე წარმატებით ვთანამშრომლობთ.

Junior Achievement Worldwide - უდიდესი საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციაა, რომელიც ხელს უწყობს სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებლებში მეწარმეობის სწავლებას. ის 1919 წელს დაარსდა აშშ-ის ქალაქ ბოსტონში; საქმიანობს 120-ზე მეტ ქვეყანაში. მიმდინარე წელს მე-6 ადგილზე დასახელდა მსოფლიოს ყველაზე გავლენიან არაკომერციულ ორგანიზაციებს შორის. მისი პროგრამები ემსახურება ახალგაზრდებში დასაქ-

მებისთვის მზაობის, ფინანსური წიგნიერებისა და სამეწარმეო უნარების გამომუშავებას.

Junior Achievement საქართველო 2002 წლიდან ახორციელებს სამეწარმეო განათლების პროგრამებს საქართველოში. იგი არის JA მსოფლიოს წარმომადგენელი ჩვენს ქვეყანაში.

მისი ერთ-ერთი პროგრამა „მოსწავლეთა კომპანია“ აღიარებულია European Training Foundation (ETF)-ის, ევროკომისიისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. სწორედ ამ პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს სკოლებში; შესაბამისად, მეც ამ მიმართულებით ვმუშაობ.

პროგრამა „მოსწავლეთა კომპანია“ არის მეწარმეობის სწავლების უნიკალური მეთოდი, რომელიც კეთებით სწავლებაზეა დაფუძნებული და საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, მიღებული განათლება რეალური ბიზნესპრობლემების გადასაწყვეტად გამოიყენონ.

მოსწავლეთა კომპანია არის რეალური კომპანიის მოდელი. ბავშვები სწავლობენ თუ როგორ უნდა დააფუძნონ და მართონ საკუთარი მინი კომპანია — აირჩევენ დირექტორთა საბჭოს, მოიზიდავენ სააქციო კაპიტალს, დააფინანსებენ და ბაზარზე გაიტანენ საქონლის მომსახურებას, მათი არჩევანის მიხედვით; გასცემენ ხელფასს და წლის ბოლოს ამზადებენ ფინანსურ ანგარიშს კომპანიის აქციონერებისთვის.

პროგრამის მიზანია, მოსწავლეებს გამოუმუშაოს მეწარმეობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც მომავალში თავის დამკვიდრებაში დაეხმარება მათ. ასევე, გააცნოს ბიზნესისა და ეკონომიკის რთული ცნებები პრაქტიკაში, დაანახოს თავისუფალი მეწარმეობის დადებითი მხარეები, გაუჩინოს პროფესიონალად ჩამოყალიბების სურვილი, აქციოს ისინი ქვეყნის თავისუფალ მოქალაქეებად დემოკრატიული საბაზრო ეკონომიკის ფარგლებში.

ამ პროგრამაში გაერთიანებული სკოლების მოსწავლეებს საშუალება აქვთ, ჩაერთონ სამეწარმეო უნარ-ჩვევების სერტიფიცირების პროცესში „The Entrepreneurial Skill Pass” (ESP). სერტიფიცირების პროგრამა განსაზღვრულია 15-დან 19 წლამდე ასაკის მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ისინი იძენენ საჭირო უნარ-ჩვევებსა და კომპეტენციებს, რომელიც დაეხმარებათ საკუთარი ბიზნესის წამოწყებაში ან წარმატებით დასაქმებაში. ESP-ის სერტიფიკატით დასტურდება, რომ მოსწავლე/სტუდენტი ფლობს სამეწარმეო უნარებსა და კომპეტენციებს; ეს

კი კონკრეტულ უპირატესობას ანიჭებს მას სამუშაო ბაზარზე შესვლისას, ზრდის დასაქმების შესაძლებლობას და დამსაქმებელს ნათელ წარმოდგენას აძლევს პოტენციური კანდიდატის შესახებ. ESP-ის სერტიფიკატი აღიარებულია მსოფლიოში. დამსაქმებლები და საგანმანათლებლო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ ამ სერტიფიკატის მქონე ახალგაზრდები კარგი მუშაკები არიან.

უფრო დეტალურად თუ ვისაუბრებთ, კომპანიის დაფუძნებისა და მართვის პროცესი შემდეგი თანმიმდევრობით ვითარდება: მოსწავლეები თავდაპირველად იდეებზე მუშაობენ, შეარჩევენ ყველაზე მნიშვნელოვანს და საინტერესოს და შემდეგ რეალურად აფუძნებენ მინი კომპანიას. კომპანიის რეგისტრაცია ხდება Junior Achievement-ში. სწორედ ეს ორგანიზაცია გასცემს სერტიფიკატს, რომელიც უფლებას აძლევს მათ, თავისუფლად გაყიდონ თავიანთი ნაწარმი. მოსწავლეები კომპანიაში ინაწილებენ როლებსა და ფუნქციებს, ატარებენ მცირე გამოკითხვას თუ რამდენად საინტერესოა მომხმარებლისთვის იდეა, რომელზეც უნდა დაიწყონ მუშაობა. როგორც ყველა ბიზნესს, მოსწავლეთა კომპანიასაც სჭირდება საწყისი კაპიტალი წარმოების დასაწყებად. ამისათვის, პროგრამის წესდების თანახმად, უფლება აქვთ, გაყიდონ ახლადშექმნილი კომპანიის აქციები. მოსწავლეები თავად არიან აქციონერები. აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის წილს კომპანიაში. აქციონერები ირჩევენ დირექტორთა საბჭოს, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის მართვასა და მის წარმატებაზე.

შემოსული თანხით კომპანია იწყებს პროდუქტისა თუ მომსახურების შექმნაზე ზრუნვას. თავდაპირველად ქმნიან პროტოტიპს. შემდეგ მუშაობენ მის განვითარებაზე: იკვლევენ გასაღების ბაზარს, აკეთებენ რეკლამას, რეალურად ყიდიან თავიანთ ნაწარმს, იღებენ შემოსავალს, ითვლიან მოგებას, წლის ბოლოს ადგენენ ფინანსურ ანგარიშს აქციონერებისათვის. მიღებულ შემოსავალს სრულად ანაწილებენ ხელფასებსა და დივიდენდზე (აქციაზე დარიცხული მოგება %) და ახდენენ კომპანიის ლიკვიდაციას, რადგან ეს არის სასწავლო პროექტი და იგი მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ფუნქციონირებს.

175-ე საჯარო სკოლაში, 2008 წლიდან დღემდე, ჩემს მოსწავლეებთან ერთად ბევრი წარმატებული სამეწარმეო პროექტი განვახორციელეთ.

ყოველ სასწავლო წელს დაახლოებით 2-3 მოსწავლეთა

კომპანიას ვაყალიბებთ. კლასის ყველა მოსწავლე კომპანიის აქციონერია და მონაწილეობას იღებს მის მართვაში. აქციის ღირებულება განსაზღვრულია წესდებით. მინიმალური ღირებულება 1 ლარია, მაქსიმალური 25 ლარი. ერთ მოსწავლეს სამ აქციაზე მეტის ქონის უფლება არ აქვს. კომპანიამ თავად უნდა გადაწყვიტოს რა ღირებულების აქციების გაყიდვა არის მათთვის საჭირო წარმოების დასაწყებად. ვთანხმდებით, რომ ყველა აქცია ერთი და იგივე ღირებულების უნდა იყოს. აქციონერები შეიძლება გახდნენ გარეშე პირებიც, თუმცა მათ კომპანიის მართვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის უფლება არ აქვთ.

ჩვენი პირველი წარმატებული პროექტი 2008 წელს განხორციელდა – მოსწავლეთა კომპანია NTM – ჰალსტუხების წარმოება. დაცვის ეტაპზე, რომელიც გაიმართა ქ. ბათუმში, საუკეთესო თხუთმეტ კომპანიას შორის პირველი ადგილი დავიმსახურეთ და „ეკონომიკის სწავლების განვითარებისათვის“ კომპანია „სარაჯიშვილმა“ სკოლას 1500$ გადმოსცა გრანტის სახით. ამას, რა თქმა უნდა, წინ უძღოდა დიდი შრომა და ძალისხმევა. მეც ბავშვებთან ერთად ვსწავლობდი გუნდურ მუშაობას, ერთმანეთის მოსმენას, აზრის გათვალისწინებას, დაფასებას, სიხარულის გაზიარებას...

ეს გამარჯვება ჩვენი შემდგომი წარმატების საფუძველი გახდა.

სიახლე მთელ სკოლას მოედო. გაიზარდა მოსწავლეთა ინტერესი არჩევითი საგნის მიმართ. მსურველი ბევრი იყო. გაჩნდა ძალიან საინტერესო იდეები. არასდროს გვაკლდა მხარდაჭერა სკოლის დირექციის მხრიდან. ეს ყველაფერი ერთად კარგ სამუშაო გარემოს ქმნიდა და ასეა დღემდე.

მარტო სკოლა არ უნდა ამაყობდეს თავისი მოსწავლეებით, მოსწავლეებსაც უნდა ეამაყებოდეთ საკუთარი სკოლა – ამ იდეის ირგვლივ გაერთიანებულმა კომპანიამ 2010 წელს მონაწილეობა მიიღო MSB – My school beage „ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ ორგანიზებულ იდეების კონკურსში „იამაყე შენი სკოლით“ – ატარე შენი სკოლის ლოგო და დაიმსახურა პირველი ადგილი და ნომინაცია „საუკეთესო კომერციული რეკლამა“.

2015 წელს კომპანიამ “Clever Coll” აწარმოა ადაპტორი, რომელიც უერთდება ნებისმიერ ტექნიკას და მანძილის გათვალიწინების გარეშე, ტელეფონის ერთი ზარის განხორციელებით ჩართავს და, ზარის განმეორებისას, გამორთავს მას. სლოგანი: “One coll it’s done”.

ყველა პროდუქტის წარმოება ნაკარნახევია ბაზრის მოთხოვნით და რადგან ძალზე მოთხოვნადი იყო სათამაშო მინიონები, გადავწყვიტეთ მისი ქართული ვარიანტის შექმნა: 2016 წელს კომპანია Geo toy-მ აწარმოა „მინიონები ქართულ სამოსში“, რის გამოც, „ჯუნიორ ეჩივმენტის“ მიერ ორგანიზებულ გამოფენა-გაყიდვაზე თხუთმეტ საუკეთესო კომპანიას შორის ფინალისტად დასახელდა. პროდუქცია დიდი სიხარულით შეიძინეს იქ მოსულმა სტუმრებმა.

2017 წელს კომპანია Baker-ის პროექტის ფარგლებში, ქართული კულინარიის პოპულარიზაციის მიზნით, აკრილის საღებავების გამოყენებით შევქმენით ქართული კერძების გამოსახულებებით გაფორმებული წინსაფრები, რომელმაც დამთვალიერებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა და თითქმის ყველა წინსაფარი გაიყიდა.

2017-2018 სასწავლო წელს, სამეწარმეო განათლების ფარგლებში, მე-10 კლასის მოსწავლეებთან ერთად განვახორციელეთ პროექტი – Skill board – მოტორუ-

ლი უნარების განმავითარებელი დაფა, რომელიც განკუთვნილი იყო 5 წლამდე ბავშვებისა და შშმ პირებისათვის. ვთვლი, რომ ეს ჩვენი საეტაპო პროექტია, რადგან მან ჩვენი სკოლის სახელი საქართველოს საზღვრებს გარეთ გაიტანა.

თებერვლის თვეში "Junior Achievement" საქართველოს მიერ კომპანია "Skill board" შერჩეულ იქნა ესტონეთის საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობის მისაღებად, სადაც დავიმსახურეთ ჯილდო – "Best foreign company".

იმავე წლის აპრილში Junior Achievement-ის მიერ ორგანიზებულ გამოფენა-გაყიდვაზე, ჟიურის გადაწყვეტილებით, კომპანია Skill board-მა დაიმსახურა ჯილდო "Best company" და გადავიდა შემდეგ ეტაპზე.

„თბილისი მერიოტში" "Junior Achievement" საქართველოს" მიერ, „წლის კომპანიის" შესარჩევ კონკურსში წარმოდგენილი იყო ხუთი საუკეთესო კომპანია. მათ შორის, 175-ე საჯარო სკოლის კომპანია "Skill board". ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ ქართველი და უცხოელი სპეციალისტები. კომპანია "Skill board"-მა დამაჯერებლად წარმოადგინა და დაიცვა თავისი პროექტი და დამსახურებულად მოიპოვა „წლის კომპანიის" ტიტული "Company of the year" და თასი.

2018 წლის ზაფხულში, JA Europa-ს მიერ ორგანიზებულ ევროპის მოსწავლეთა კომპანიების ჩემპიონატზე, სერბეთში, ქ. ბელგრადში "Skill board"-მა წარადგინა საქართველო და დიდი მოწონება დაიმსახურა.

განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ჩვენთვის 2019 წელი. მოსწავლეთა კომპანია "Skill board"-მა მონაწილეობა მიიღო ორგანიზაციების „სიქა" და "EMT" მიერ ორგანიზებულ "Diamond Challenge"-ის სოციალური საწარმოების კონკურსში, სადაც, ასევე, პირველი ადგილი დაიმსახურა და მიწვეულ იქნა აშშ-ში, დელავერის უნივერსიტეტში.

აშშ-ში გასამგზავრებლად "GITA"-ს სამგზავრო გრანტი მოვიპოვეთ. აპრილის თვეში, დელავერის უნივერსიტეტში გამართულ მსოფლიოს სოციალურ საწარმოთა კონკურსში "Skill board"-ი დასახელდა მსოფლიოს ტოპ 9 სოციალურ საწარმოს შორის. ყველა მონაწილე დაჯილდოვდა მედლებით; ყველას გადაეცა სერტიფიკატები.

ამავე წელს, სამი კომპანიით, განვახორციელეთ სამი ძა-

ევროკუნი ჩარჩო მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის უნარებისთვის განასხვავებს რვა ძირითად კომპეტენციას, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნულ სრულყოფას, სოციალურ ჩართულობასა და აქტიურ მოქალაქეობას საზოგადოებაში. ყველა ეს კომპეტენცია თანაბრად მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისთვის, რადგან მხოლოდ მათ შეუძლიათ ხელი შეიწყონ ცოდნის საზოგადოებაზე ორიენტირებას უწყვეტი სწავლის (LLL) პროცესში. ეს კომპეტენციები პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან, ემთხვევა და ავსებს ერთმანეთს. მოსწავლეებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია თითოეული კომპეტენციის უნარი, რომელიც წარმატებით დაეხმარება მათ მუდმივად ცვალებად დასაქმების ბაზარზე ორიენტირებაში.

ლიან მნიშვნელოვანი პროექტი:

1. მოსწავლეთა კომპანია Science station/სამეცნიერო სადგური.
   კომპანია "Science station" აწარმოებდა სამეცნიერო ყუთებს, რომელიც მოიცავდა ქიმიური ექსპერიმენტის ჩასატარებლად საჭირო ჭურჭელს, რეაქტივებს, გზამკვლევს და ფაქტებს მეცნიერების შესახებ. "Science station" აწარმოებდა უსაფრთხო, ინოვაციურ, შემეცნებით და სახალისო პროდუქციას.
   კომპანიამ Junior Achievement-ის მიერ ორგანიზებულ გამოფენა-გაყიდვაზე მოიპოვა ჯილდო „უიურის სიმპათია" და გადავიდა ფინალურ ტურში.
2. კომპანია "Vision", რომელიც აწარმოებდა კრეატიულ ეკოლოგიურ და გასართობ-შემეცნებით სამაგიდო თამაშს "ECOWORLD", ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლების მიზნით. პროდუქტი ხელს უწყობს ანალიტიკური მსჯელობის განვითარებას, საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, დაცვას. კერძოდ, თამაში "ECOWORLD" ეხმარება მოზარდებს, და არა მხოლოდ, გლობალურ-ეკოლოგიური პრობლემების გააზრებაში და მათი გადაჭრის გზების ძიებაში. იმავე წელს კომპანია "Vision" მიწვეულ იქნა ესტონეთის საერთაშორიო გამოფენა-გაყიდვაზე, სადაც მისმა პროდუქტმა "ECOWORLD" დიდი მოწონება დაიმსახურა.
3. კომპანია "Potterboard"-მა შექმნა მონოპოლის ტიპის სამაგიდო თამაში „ჰარი პოტერის" თემატიკაზე. მას აქვს სამოძრაო დაფა, კამათლები, გადასაადგილებელი ფიგურები და ბარათები. თამაშის დროს მოგზაურობ ჰარი პოტერის სამყაროში. თამაში მოიცავს სიტუაციურ ამოცანებსა და ფულადი სახსრების მართვის პროცესს. ეს არის გონებრივი აქტივობა, რომელიც ავითარებს ბიზნეს უნარ-ჩვევებს. კომპანიამ "Potterboard" გაიმარჯვა ნომინაციაში "Best Product 2019" და გადავიდა ფინალში.

ამრიგად, ხუთი ფინალისტიდან ორი 175-ე საჯარო სკოლის მოსწავლეთა კომპანია იყო.

გამოფენა-გაყიდვის დროს, პროდუქტის პრეზენტაციის და რეალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანია ვიზუალური მხარე; ამიტომ ვცდილობთ, რომ ჩვენი კუთხე ყოველთვის ესთეტიკურად გამოიყურებოდეს.

ჩემთვის ყველაზე გამორჩეულია 2020 წელს ჩამოყალიბებული კომპანია "Helmet Vision", რომლის ფარგლებშიც შეიქმნა პროდუქტი – „ჭკვიანი ჩაფხუტი". იდეებზე მუშაობისას, როდესაც პრობლემებსა და გამოწვევებზე ვსაუბრობდით, დავფიქრდით მე-

ხანძრის პროფესიაზე, იმაზე, რომ მეხანძრე მუდამ იბრძვის სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად, მაგრამ ვინ ზრუნავს მასზე?

სწორედ აქ დაიბადა იდეა, შეგვექმნა უნივერსალური ჩაფხუტი მანძილმზომებით და სენსორებით, რომელიც მეხანძრეს დაკვამლიანებულ გარემოში გზის გაკვლევაში დაეხმარება. ამ პროდუქტის შექმნას საკმაოდ დიდი დრო და ენერგია დასჭირდა, თუმცა იმდენად დიდია მოსწავლეთა მოტივაცია, რომ კომპანიის საქმისთვის დროს არ აქვს მნიშვნელობა, თუნდაც ეს საღამოს საათები იყოს.

დიახ, რა თქმა უნდა, წარმატება დიდ შრომას მოითხოვს და ამისთვის კვირაში ორი გაკვეთილი ნამდვილად არ არის საკმარისი, მაგრამ როცა შედეგი სახეზეა, ხვდები, რომ შრომა ნამდვილად ღირდა.

კომპანიამ თებერვალში, ესტონეთის საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვაზე "Most Innovation Company"-ის ჯილდო აიღო.

აპრილის თვეში, ასევე Junior Achievement-ის მიერ ორგანიზებულ კონკურსზე, 2020 წლის საუკეთესო მოსწავლეთა კომპანიად "Company of the Year 2020" აღიარეს.

კომპანია "Helmet Vision"-მა წარადგინა საქართველო პორტუგალიაში, „ევროპის 2020 წლის მოსწავლეთა კომპანიების კონკურსზე, სადაც გაიმარჯვეს ნომინაციაში

„მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანია". წარმდგენი იყო "City Foundation". მოსწავლეთა კომპანიის წევრები სერტიფიკატებითა და ფასიანი პრიზებით დაჯილდოვდნენ. (პანდემიის გამო კონკურსი ონლაინ ფორმატში ჩატარდა).

2022 წელს, კომპანია ROBOBOOK-მა შექმნა ინტერაქტიული წიგნი რობოტიკის შესასწავლად. მასში სასწავლო კურსთან ერთად თავმოყრილია პრაქტიკული სავარჯიშოები, რომლებიც სწავლისა და შემეცნების პროცესს კიდევ უფრო პროდუქტიულსა და ნაყოფიერს ხდის. სასწავლო კურსის გავლის შემდგომ, მიღებული ცოდნისა და წიგნში არსებული დეტალების საშუალებით, მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს, ააწყოს სმარტ სათამაშო. წიგნი წარმოდგენილია როგორც სტანდარტული სახით, ასევე უზრუნველყოფილია აუდიო ვიზუალით.

რობობუქის მთავარი მიზანია მოზარდებში STEM უნარების განვითარების ხელშეწყობა.

დღეისათვის საქართველოში ეს სფერო ვითარდება, თუმცა მაინც ვრჩებით მხოლოდ ტექნოლოგიების მომხმარებელ და არა მწარმოებელ ქვეყნად. კომპანიის მიზანია, შევქმნათ ისეთი სასწავლო რესურსები, რომელიც ახალგაზრდებს დაეხმარება ამ მიმართულებით განვითარებაში.

აქაც დაგვიფასდა შრომა – „ალტე უნივერსიტეტი"-ს მიერ ორგანიზებულ ჰაკათონში კომპანია ROBOBOOK-მა პირველი ადგილი დაიმსახურა და თიბისი ბანკისგან მიიღო დაფინანსება 5000 ლარის ოდენობით. ასევე, მოიპოვა GITA-ს მხარდაჭერა. გამარჯვებული ამჟამად მუშაობს პროდუქციის განვითარებაზე. უახლოეს მომავალში დაგეგმილი აქვთ კომპანიის სტარტაპად დარეგისტრირება და სერიული წარმოების დაწყება.

ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა სკოლაში „ეკონომიკის საფუძვლების" სწავლებით დაიწყო. სკოლაში ფუნქციონირებს „ახალგაზრდა ეკონომისტთა კლუბი", რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა აქტივობას ვახორციელებთ. ერთ-ერთი აქტივობა არის სასწავლო კურსი – „ბიზნეს უნარ-ჩვევები დაწყებით განათლებაში", რომელიც მიმდინარეობს „ჯუნიორ ეჩივმენტის" პროგრამებით და რომელსაც

ჩვენი სკოლის კლუბის წევრი მოსწავლეები ატარებენ პატარებისთვის, ჩემი ფასილიტაციით.

სკოლის წარმატებებმა, ამ კუთხით, მშობლებამდეც მიაღწია. ისინი მხარს უჭერენ ამ წამოწყებას. გასულ წელს, მე-3, მე-4 და მე-5 კლასის მოსწავლეთა მშობლების ჩართულობით, შევიძინეთ პროგრამები – „ჩემი საზოგადოება“, „ჩემი ქალაქი“, „ჩემი რეგიონი“. შეხვედრები ძალიან ინტერაქტიული და სახალისო იყო. ბიზნეს უნარ-ჩვევების გაკვეთილებს უფროსკლასელები ატარებდნენ და ეს პატარებს ძალიან მოსწონდათ. კლუბის წევრებმაც, თავის მხრივ, დიდი გამოცდილება შეიძინეს ამ პროგრამის განხორციელებით. აღსანიშნავია, რომ ჰქონდათ ფინანსური დაინტერესებაც – აიღეს მათთვის განკუთვილი ხელფასი (ზოგიერთი მათგანისთვის ეს პირველი სამუშაო გამოცდილება და პირველი ხელფასი იყო).

ამასთან ერთად, „ჯუნიორ ეჩივმენტმა“ მოსწავლე-განმანათლებლებს, პატარების მიმართ გამოჩენილი გულისხმიერებისა და თავდადებისათვის, გადასცა სერთიფიკატები “Junior Achievement Herous”.

2020 წელს 175-ე საჯარო სკოლა დაჯილდოვდა ტიტულით „ევროპის საუკეთესო სამეწარმეო სკოლა“. პირადად მე მონაწილეობა მივიღე JA Europe-ის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიური ღონისძიებაში „სამეწარმეო სკოლის ჯილდო“.

The Entrepreneurial School Award 2020 (TES Awards) შეხვედრა ჩატარდა ონლაინ ფორმატში. ვიმედოვნებ, რომ მომავალშიც ბევრ წარმატებულ პროექტს განვახორციელებ ჩემს მოსწავლეებთან ერთად.

ჩემი სტატიის დასასრულს გადავწყვიტე, რომ თქვენთვის საინტერესო იქნებოდა ინტერვიუ სკოლის კურსდამთავრებულებთან:

რა მისცა მათ ამ პროექტმა?

როგორ გამოიყენებენ მომავალში ამ პროექტის ფარგლებში შეძენილ გამოცდილებას?

ანა პიტიურიშვილი: სამეწარმეო განათლების მიღება და პროექტებში მონაწილეობა ორი წელი გრძელდებოდა და ეს ჩემთვის დღემდე უძვირფასესი პერიოდია. ამ დროის განმავლობაში, გარდა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შეძენისა, ვისწავლე როგორც სხვებთან, ისე საკუთარ თავთან მუშაობა, გამოწვევებთან გამკლავება, მიზნის მისაღწევად ბრძოლა.

მარიამ ფარქოსაძე: ამ პერიოდის განმავლობაში, “Junior Achievement”-ის დამსახურებით, ვმართე პირადი ბიზნესი, ვისწავლე ძალიან ბევრი რამ მარკეტინგში, ბიუჯეტირებაში, გავხდი მეტად კრეატიული და ინოვაციური. დღემდე აქტიურად ვთანამშრომლობ ჯუნიორთან, ვარ ალუმნი ორგანიზაციის წევრი, ასევე, ჯუნიორის პროგრამის მასწავლებელი ჩემს სკოლაში და ნამდვილად მჯერა, რომ ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ დასაწყისია.

ნატა ჯოხაძე: სამეწარმეო განათლებაში ჩართვამ სწორი მიმართულება მომცა და დამანახა, თუ სად მინდა მომავალში ვიყო და რა განხრით გავაგრძელო ჩემი კარიერული განვითარება. პიროვნულ თვისებებს რაც შეეხება, განმივითარა ისეთი უნარები, როგორიცაა: პრეზენტაციის, კომუნიკაციის, კრეატიულობის, გუნდური მუშაობის უნარი.

მარიამ დადუნაძე: ამ პროექტის დახმარებით ვისწავლე, თუ როგორ ხდება მინი კომპანიის ფუნქციონირება, ბიზნესიდეების გენერირება, ბიზნესგეგმის წერა, დროის, ბიუჯეტისა და ადამიანური რესურსის მენეჯმენტი. გავიუმჯობესე და განვივითარე სამეწარმეო, საკომუნიკაციო და ლიდერობის უნარ-ჩვევები. მიღებული გამოცდილება და-

მეხმარა სამომავლო პროფესიის არჩევაში.

ანი კაპანაძე: „ჯუნიორ ეჩივმენტის“ პროექტები დამეხმარა სამომავლო პროფესიის სწორად არჩევაში და ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებაში, რომელიც არა მხოლოდ კარიერაში, არამედ ცხოვრებაშიც აუცილებლად გამომადგება. პროექტის განმავლობაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება სამომავლოდ დამეხმარება ამავე პროექტის ფარგლებში დაწყებული ბიზნესის სწორად მართვაში.

გაბრიელ ახსაბაძე: ეს პროგრამა დამეხმარა სამომავლო პროფესიის განსაზღვრაში. სამეწარმეო განათლების დახმარებით კი უდიდესი გამოცდილება შევიძინე. ეს იყო სიახლეებით დატვირთული 2 წელი. ყოველდღე ვსწავლობდით ახალს, ვიღებდით ახალ გამოცდილებას, რაც, პროფესიული თვალსაზრისით, დადებითად აისახა ჩემზე.

არსენ სებისკვერაძე: უპირველესი და მთავარი, რაც, ვფიქრობთ, ამ პროექტმა მოგვცა, არის ის, რომ მივხვდით თუ რა გვინდა ვაკეთოთ მომავალში. ვფიქრობთ, რომ ცოდნისა და გამოცდილების მიღება მნიშვნელოვანია, თუმცა მთავარია, როგორ გამოვიყენებთ ყოველივე ამას შემდგომ; ამიტომაც ჩვენი სამომავლო მიზანია პროექტის ფარგლებში მიღებული ცოდნის, გამოცდილების სწორად გამოყენება.

თამარ მაზმიშვილი: ჯუნიორი იყო ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც ხელი შემიწყო განვითარებასა და საკუთარი თავის უკეთ რეალიზებაში. ჯუნიორის პროექტის ფარგლებში შევიძინე უამრავი მეგობარი და ვისწავლე ბევრი რამ, რამაც ჩემი პიროვნების ფორმირებაში უდიდესი როლი ითამაშა.

ანი გოგოლაძე: ამ პროექტის საშუალებით, სკოლაში გატარებული წლები ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და მნიშვნელოვანი იყო. შევიძინე ისეთი გამოცდილება და უნარები, რომლებიც მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში გამომადგება. შეიძლება ითქვას Junior Achievement-მა ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალა.

ნინი კეპულაძე: ამ პროექტმა ბევრი რამ მომცა; პირველ რიგში, საკმაოდ პატარა ასაკში მასწავლა ის, რომ თუ ძალიან მოინდომებ, ყველაფერი გამოგივა და დაგიფასდება. ამასთან, მასწავლა, როგორ უნდა დავგეგმო ბიზნესი, რომ მივიღო სარგებელი ჩადებული შრომისა და რესურსების სანაცვლოდ. რაც, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, მთელ გუნდს გვასწავლა, როგორ გვეკეთებინა საქმე გუნდურად.

დავით ნემსაძე: ვფიქრობ, პროექტმა გვასწავლა ერთი

უმნიშვნელოვანესი რამ — დაბრკოლებებმა არ უნდა შეგაჩეროს, შეუძლებელი არაფერია. რას ვგეგმავ მომავალში? პროექტმა დიდი ცოდნა და გამოცდილება მომცა. რა თქმა უნდა, აქ არ ვჩერდები და პროექტიდან ნასწავლის რეალიზებას ბევრად ფართო მასშტაბით ვგეგმავ.

გოგა გოგალაძე: ჯუნიორის პროექტში მონაწილეობით, პირველ რიგში, უდიდესი გამოცდილება მივიღე და ახალი ურთიერთობები დავამყარე გონიერ და მოტივირებულ ადამიანებთან, რომლებთანაც დღესაც ვურთიერთობ და მომავალშიც ვითანამშრომლებ. ჩემს მომავალსა და გეგმებს რაც შეეხება, რა თქმა უნდა, მსურს ჯუნიორიდან მიღებული გამოცდილება გამოვიყენო, საკუთარი კომპანია დავაარსო და საზოგადოების წინსვლასა და განვითარებაში მივიღო მონაწილეობა.

როგორც თავად ამბობენ:

- ისწავლეს საკუთარ თავთან მუშაობა და გამოწვევებთან გამკლავება.
- ისწავლეს, რომ დაბრკოლებებმა არ უნდა შეგაჩეროს, რომ შეუძლებელი არაფერია.
- ისწავლეს, როგორ აკეთონ საქმე გუნდურად.
- შეიძინეს უამრავი მეგობარი და თანამოაზრე.
- მიიღეს გამოცდილება, რომელიც დაეხმარა მათ სამომავლო პროფესიის არჩევაში.
- მეწარმეობამ მათი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალა.

ინტელექტუალური საკუთრება: იდეიდან ინოვაციამდე

მერაბ კუცია

საქპატენტის გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის უფროსი, ევროპის პატენტრწმუნებული, საქართველოს პატენტრწმუნებული, ფიზიკის დოქტორი

საქპატენტმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შესთავაზა ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ (EUGIPP). პროექტი საჭირო და საინტერესო აღმოჩნდა სკოლებისათვის.

მეწარმეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ინოვაციებსა და ახალ იდეებთან, რაც, ხშირ შემთხვევაში, ახლის შექმნითა და გამოგონებით სრულდება. გამონაკლისი არც სასკოლო საზოგადოება, მოსწავლე თუ მოსწავლეთა კომპანიებია. სიახლეებზე მომუშავე ადამიანებს, საინვესტიციო შეცდომების თავიდან ასაცილებლად, მუდმივად ესაჭიროებათ პროფესიონალთა მხარდაჭერა. რადგან პროექტში ჩართული სკოლების რაოდენობა მცირე იყო, დაინტერესებულებს გთავაზობთ წერილს, რომელიც შესანიშნავი მასალაა ამ მიმართულებით, სკოლების, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების უკეთ ინფორმირებისათვის.

ინტელექტუალური საკუთრება

ადამიანის გონების ქმნილებებს ერთი პრინციპული რამ განასხვავებს მატერიალური ობიექტებისგან. გამოგონების, დიზაინის ან ლიტერატურული ნაწარმოების დაცვა შეუძლებელია ავტორთა მიერ მათი უშუალო ფლობის საფუძველზე. მას შემდეგ, რაც ქმნილება საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება, მისი შემქმნელი ვეღარ აკონტროლებს მის გამოყენებას. სწორედ ამიტომ ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობა მიზნად ისახავს ინტელექტუალური საქონლის შემქმნელთა უფლებების დაცვას განსხვავებული გზით, კერძოდ, მათთვის დროში შეზღუდული უფლებების მინიჭებით მათი ქმნილებების გამოყენებაზე. როგორც წესი, ეს უფლება მდგომარეობს მესამე პირისთვის ავტორის ნებართვის გარეშე ქმნილების კომერციული მიზნით გამოყენების აკრძალვაში.

ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს ორ სფეროს: სამრეწველო საკუთრებას და საავტორო უფლებებს.

სამრეწველო საკუთრება მოიცავს გამოგონების დაცვას პატენტით, კომერციული ინტერესების დაცვას სასაქონლო ნიშნებითა და დიზაინით და არეკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას.

საავტორო უფლება ლიტერატურის, მუსიკისა და ხელოვნების დარგში შექმნილი* ნაწარმოებების ავტორებს ანიჭებს გარკვეულ უფლებებს, აუკრძალონ მესამე

პირს მათი ნაწარმოების გამოყენება.

არსებობს რამდენიმე მიზეზი თუ რატომ არის ინტელექტუალური საკუთრება მნიშვნელოვანი მეწარმისთვის. თუ, მაგალითად, სტარტაპი ქმნის გამოგონებას, მნიშვნელოვანია მისი დაცვა პატენტით. ამგვარი დაცვის გარეშე, ნებისმიერ კონკურენტს შეუძლია ლეგიტიმურად (თუმცა ეს ქმედება არ იქნება მორალურად გამართლებული), გადაიღოს მისი გამოგონება, დააწეროს თავისი სახელი და გაყიდოს როგორც საკუთარი გამოგონება. ეს მნიშვნელოვნად აზარალებს მეწარმის შესაძლებლობას, მიიღოს მოგება საკუთარი გამოგონებით. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი იცავს ბიზნესებს მსგავსი პრობლემებისგან.

გამოგონება და პატენტი

გამოგონება განისაზღვრება როგორც ტექნიკური პრობლემის ახლებური გადაწყვეტა კონცეფციის სახით. გამოგონება შეიძლება იყოს მოწყობილობა, ხერხი, პროდუქტი ან ახალი ქიმიური ნაერთი. თუ გამოგონება აკმაყოფილებს პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს, ანუ თუ გამოგონება ახალია, გააჩნია საგამომგონებლო დონე და სამრეწველოდაც გამოყენებადია, მასზე შეიძლება გაიცეს პატენტი. პატენტი არის განსაკუთრებული უფლება, მესამე პირს აეკრძალოს პატენტით დაცული გამოგონების კომერციული მიზნით გამოყენება. პატენტუნარიანობის შეფასების ცოდნა, გამოცდილება და უფლებამოსილება გააჩნია სხვადასხვა ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების უწყებებს, მათ შორის, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“.

გამოგონებას აქვს სიახლე, თუ იგი ცნობილი არ არის ტექნიკის დონით. ხოლო ტექნიკის დონეს განსაზღვრავს ყველა ის მონაცემი, რომელიც განაცხადის წარდგენის თარიღამდე საჯაროდ გახდა ხელმისაწვდომი წერილობით, ზეპირი აღწერით, საჯარო გამოყენებით ან სხვა გზით. ტექნიკის დონეს მიეკუთვნება როგორც საპატენტო დოკუმენტები (საპატენტო განაცხადი, გაცემული პატენტი), ასევე ე.წ. არასაპატენტო ლიტერატურა, მაგალითად, სამეცნიერო სტატიები. ამგვარად, იმისათვის რომ გამოგონებას ჰქონდეს სიახლე, ის არა მხოლოდ არ უნდა იყოს „მანამდე პატენტით დაცული“, არამედ სხვა სახის წყაროშიც (სტატია, სახელ-

მძღვანელო, Youtube ვიდეო, და ა.შ.) არ უნდა იყოს დაფიქსირებული და საჯაროდ ხელმისაწვდომი.

გამოგონებას განსაზღვრავს გამოგონების ფორმულაში მოყვანილი არსებითი ნიშნების ერთობლიობა. თუ, მაგალითად, გამოგონებას განსაზღვრავს 10 ნიშნის ერთობლიობა, ამ გამოგონებას არ ექნება სიახლე, თუ ტექნიკის დონეში მოიძიება რამე წყარო, დოკუმენტი (მაგალითად, საპატენტო განაცხადი ან პატენტი, სამეცნიერო სტატია, ნაშრომი ან სახელმძღვანელო), რომელშიც მოყვანილია ათივე ნიშანი ერთად. აქ აღსანიშნავია, რომ სიახლის შეფასებისას ძიების შედეგად გამოვლენილი თითოეული დოკუმენტის განხილვა ხდება ინდივიდუალურად, სხვა დოკუმენტებისაგან განცალკევებულად (ანუ სიახლის შეფასებისას დოკუმენტების კომბინაცია არ არის დაშვებული).

თუ ძიებისას არ იქნება გამოვლენილი არცერთი დოკუმენტი, რომელშიც გახსნილი იქნებოდა გამოგონების ათივე ნიშანი ერთდროულად, ექსპერტიზა დაადგენს, რომ გამოგონება აკმაყოფილებს სიახლის კრიტერიუმს.

რაც შეეხება საგამომგონებლო დონეს — გამოგონებას აქვს საგამომგონებლო დონე, თუ ის პრიორიტეტის თარიღისთვის, სპეციალისტის თვალსაზრისით, ცხადად არ გამომდინარეობს ტექნიკის დონიდან. სიახლის შეფასებისგან განსხვავებით, საგამომგონებლო დონის შეფასების დროს შესაძლებელია ტექნიკის დონის რამდენიმე, როგორც წესი, ორი დოკუმენტის კომბინაცია. თუ, მაგალითად, გამოგონების 7 ნიშანი გახსნილია დოკუმენტში D1, ხოლო დარჩენილი 3 ნიშანი ცნობილია D2 დოკუმენტიდან და სპეციალისტს შეეძლო D1 და D2 დოკუმენტებში მოყვანილი ცოდნის კომბინირებით მისულიყო იმ გადაწყვეტამდე, რაც გამოგონებით არის წარმოდგენილი, მაშინ ჩაითვლება, რომ მოცემული გამოგონება ცხადად გამომდინარეობს ტექნიკის დონიდან, ანუ გამოგონებას არ აქვს საგამომგონებლო დონე.

რომ არ არსებობდეს საგამომგონებლო დონის კრიტერიუმი, ნებისმიერი გამოგონების ყოველი შემდგომი მცირე გაუმჯობესებაც კი იქნებოდა პატენტუნარიანი და მსოფლიოში ბევრად მეტი პატენტი იარსებებდა, ვიდრე ეს დღესაა, რაც მოქმედების თავისუფლებას ფაქტობრივად შეზღუდავდა. საგამომგონებლო დონე სწორედ ის „ხარისხობრივი სტანდარტია“, ერთგვარი ფილტრია, რომელიც ფილტრავს ბევრ „ცხად“, „აშკარა“ (obvious) გამოგონებას და მხოლოდ „ხარისხობრივად“ განსხვავებულ გამოგონებას (ანუ რომელიც სპეციალისტისთვის ცხადად არ გამომდინარეობს ტექნიკის დონიდან) ანიჭებს პატენტუნარიანობას.

და ბოლოს, გამოგონება სამრეწველოდ გამოყენებადია, თუ შესაძლებელია მისი დამზადება და მრეწველობაში ან სოფლის მეურნეობაში გამოყენება. ეს კრიტერიუმი იმდენად ფართოა, რომ გამოგონებათა უმეტესობა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს. ფაქტობრივად, თითქმის ყველა მოწყობილობა თუ ხერხი, რომლის დამზადება და გამოყენება შესაძლებელია მრეწველობის რომელიმე დარგში, რომელიც განხორციელებადია და იმუშავებს, სამრეწველოდ გამოყენებადია. მაგალითი მოწყობილობისა, რომელსაც ექსპერტიზა არ დაუდასტურებდა სამრეწველო გამოყენებადობას, არის ე.წ. „მუდმივი ძრავა“ — „პერპეტუუმ მობილე“ — მოწყობილობა, რომელიც ვითომ ენერგიის დახარჯვის გარეშე ასრულებს სასარგებლო სამუშაოს. ასეთი მანქანის არსებობა ეწინააღმდეგება ბუნების უმნიშვნელოვანეს კანონს, კერძოდ, ენერგიის მუდმივობის კანონს, შესაბამისად, იგი დღემდე არ შექმნილა და ვერც შეიქმნება.

საქპატენტი და საქართველოს ინოვაციების ეკოსისტემა

ქართულ მედიაში პერიოდულად ვრცელდება ინფორმაცია ახალი გამოგონების თუ ინოვაციის შესახებ, რომელიც შეიქმნა საქართველოში და არის უნიკალური, რომლის ანალოგი თურმე მსოფლიოში არ არსებობს. განსაკუთრებით გახშირდა მსგავსი ნიუსები კორონავირუსის გავრცელების გამო შექმნილი ვითარების პირობებში (მაგ. პირბადე, სასუნთქი აპარატი, სენსორული ღილაკები და ა.შ.).

ინოვაცია და ინტელექტუალური საკუთრება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ინოვაცია არის ახალი იდეების, ცოდნის, კონცეფციის, გამოგონების გარდაქმნის პროცესი ახალ პროდუქტებად და ახალ სერვისებად. საქპატენტის როლი მნიშვნელოვანია ინოვაციების შეფასების და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მინიჭების კუთხით.

ნებისმიერი განცხადება მედიაში, რომ რამე მოწყობილობა ახალია, უნიკალურია, ინოვაციურია, პატენტუნარიანობაზე წინასწარი შემოწმების გარეშე, რისკის შემცველია და, პირველ რიგში, იწვევს ინოვაციის და გამოგონების ცნების დევალვაციას, გაუფასურებას. გლობალიზებულ მსოფლიოში, სადაც ცოდნას გეოგრაფიული საზღვრები არ გააჩნია, ინოვაციას ვერ ვუწოდებთ სხვაგან არსებული ცოდნის ჩვენს ქვეყანაში დანერგვას — ეს არა ინოვაცია, არამედ ტექნოლოგიების აბსორბციაა, ჩვენთან გადმოტანა, დანერგვა.

პრინციპულად მნიშვნელოვანია, კერძო და საჯარო სექტორმა ეფექტურად გამოიყენოს გამოგონებისა და ინოვაციების საქპატენტის რესურსები, სიახლეზე და ზოგადად პატენტუნარიანობაზე შემოწმების კუთხით, მით უმეტეს თუ ეს ქვეყნის ინტერესებს ეხება.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ, ერთი მხრივ, გამოგონება, ანუ ახლის შექმნა, ინოვაცია და, მეორე მხრივ, ეროვნული წარმოება. ბევრი მოწყობილობა თუ ტექნოლოგია უკვე გამოგონებულია სხვა ქვეყნებში. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი საპატენტო განაცხადი შედის საპატენტო უწყებებში მსოფლიო მასშტაბით. საქართველოში ეს რიცხვი მხოლოდ 250 განაცხადის ფარგლებშია, აქედან ნახევარზე ნაკლებია ადგილობრივი გამომგონებლების წილი. თუ ქვეყანას რამე საჭიროება დაუდგა ტექნოლოგიური თვალსაზრისით, „ველოსიპედი“ თავიდან არ უნდა გამოვიგონოთ. შეგვიძლია ვისარგებლოთ უკვე დაგროვილი ცოდნით, სხვის მიერ უკვე გამოგონებული „ველოსიპედითაც“, თუ იგი პატენტით არ არის დაცული საქართველოში. თუ პანდემიიდან გამომდინარე პირბადე ან სასუნთქი აპარატი ესაჭიროება სახელმწიფოს, რაც დღეს არ გამოგონებულა, დიდი ხანია არსებობს და მუდმივად უმჯობესდება, სწორედ საპატენტო მონაცემთა ბაზაშია შესაძლებელი ამომწურავი ინფორმაციის მოძიება თუ როგორ უნდა დამზადდეს ის.

თუმცა აქ მეორე ასპექტიცაა მნიშვნელოვანი. შესაძლოა, რამე გამოგონება პატენტითაა დაცული ამა თუ იმ ქვეყანაში და მისი კომერციულად გამოყენებით არსებობდეს ამ პატენტის დარღვევის რისკი. პატენტის დარღვევა კი პოტენციურად დაკავშირებულია სისხლისსამართლებრივ და სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან. თუ, მაგალითად, ქართული სტარტაპი აცხადებს, რომ შექმნა ახალი სასუნთქი აპარატი, გარდა იმისა, რომ მხოლოდ დეტალური საპატენტო ექსპერტიზის შედეგად შეიძლება დადასტურდეს ან გაბათილდეს მისი სიახლე, შესაძლოა იგი არა თუ არ იყოს

ახალი, არამედ აღმოჩნდეს, რომ იდენტური ობიექტი მესამე პირის პატენტით არის დაცული, მაგალითად, აშშ-ში. შესაბამისად, ამ მოწყობილობის აშშ-ს ბაზარზე გატანამდე შესასწავლია ე.წ. მოქმედების თავისუფლება (freedom to operate), რაც ასევე საპატენტო უწყების ერთ-ერთი სერვისია და საპატენტო მონაცემთა ბაზაში პროფესიონალურ ძიებას და ანალიზს მოითხოვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქპატენტის როლი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის ინოვაციურ ეკოსისტემაში.

საპატენტო საინფორმაციო ძიება

გამოქვეყნებული საპატენტო განაცხადები და გაცემული პატენტები ინფორმაციის მნიშვნელოვან და უნიკალურ წყაროს წარმოადგენს. მასში თავმოყრილია კაცობრიობის ცოდნა ტექნოლოგიების ყველა დარგში და იგი დღითიდღე ივსება უახლესი მიღწევებით. დღევანდელი მდგომარეობით ყველაზე სრულყოფილ საპატენტო მონაცემთა ბაზებში თავმოყრილია 140 მილიონზე მეტი საპატენტო დოკუმენტი. კვლევებით დადგენილია, რომ საპატენტო დოკუმენტებში მოცემული ინფორმაციის 80% არ მოიძებნება სხვა წყაროებში, ანუ შეიძლება, რამე მოწყობილობა არ იდოს დახლზე და არ იყიდებოდეს ონალინ მაღაზიაში მზა პროდუქტის სახით, მაგრამ ის უკვე გამოგონებული იყოს და მის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ პატენტში იყოს გახსნილი.

საპატენტო მონაცემთა ბაზებში ინფორმაციის მოძიება სასარგებლო გზაა კომპანიების საპატენტო საქმიანობის შესახებ ტექნიკური და ბიზნეს-ინფორმაციის მისაღებად. მაგალითად, მეცნიერს ან მეწარმეს შეუძლია ღირებული ინფორმაცია მიიღოს რომელიმე კონკრეტულ დარგში უახლესი ტექნოლოგიების შესახებ საპატენტო დოკუმენტების გაცნობის გზით. ეს მეცნიერს ეხმარება დუბლირების თავიდან აცილებაში და იგივე გამოგონებაზე ძალისხმევის, დროისა და რესურსების დაზოგვაში. პატენტში მითითებული უახლესი ინფორმაცია მეწარმეებს ეხმარება საინვესტიციო შეცდომების თავიდან აცილებაშიც. შედეგად, არც ისინი აფინანსებენ ისეთ კვლევებს, რომლებიც სხვებმა უკვე ჩაატარეს. ამასთან, საპატენტო განაცხადის განხილვის პროცესი დროში გაწელილი და ხარჯიანია. ამიტომ, განაცხადის წარდგენამდე უნდა გავერკვეთ, პატენტუნარიანია თუ არა კონკრეტული გამოგონება, რათა თავიდან ავიცილოთ უსარგებლო ხარჯები.

ინტელექტუალური საკუთრება იცავს ყველაფერს, რასაც ადამიანი თავისი ცოდნით ან გონებით ქმნის. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მიზანი სწორედ ისაა, რომ აგარიდოთ ნებისმიერი სიტუაცია, რომელიც თქვენ მიერ შექმნილი სიღაბუსის, პროექტის, სცენარის, საგაკვეთილო გეგმის და ა.შ. სხვის მიერ მითვისებას ეხება.

ინტელექტუალური საკუთრება ეხება ადამიანის გონების არამატერიალურ ქმნილებებს და წარმოადგენს კომპანიების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს ცოდნაში, ინოვაციებსა და შემოქმედებითობაში ჩადებული ინვესტიციებიდან მოგების მისაღებად.

ინტელექტუალური საკუთრების უფლება ვრცელდება ისეთი აქტივების ფართო სპექტრზე, როგორებიცაა: პატენტები, სასაქონლო ნიშნები, საავტორო უფლებები, მცენარეთა ახალი ჯიშები, გეოგრაფიული აღნიშვნები. ყველა ეს პროდუქტი, კომპანიის ბრენდიდან დაწყებული, ავეჯის დიზაინით დამთავრებული დაცულია ინტელექტუალური საკუთრების წყალობით.

ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის საიმედო ეროვნული სისტემა წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციურ ქვეყნებში ეკონომიკის ზრდას.

საპატენტო ინფორმაციის არასაკმარისი გამოყენება მნიშვნელოვან დანაკარგებს იწვევს კვლევებისა და განვითარების მიმართულებით განხორციელებული ინვესტიციების ნაწილში. მაგალითად, ევროპის საპატენტო უწყების (EPO) შეფასებით, ევროპის ეკონომიკა ყოველწლიურად 20 მილიარდ ევროს კარგავს იმის გამო, რომ ჯეროვნად არ იყენებს საპატენტო ინფორმაციას, რაც ძალისხმევის დუბლირებას იწვევს. ხდება კაპიტალდაბანდება უკვე არსებული გამოგონებების ხელახლა გამოგონებაში, უკვე გადაჭრილი პრობლემების გადაჭრის გზების მიგნებასა და ბაზარზე უკვე არსებული პროდუქტების ხელახლა შექმნაში. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია საპატენტო ინფორმაციის გამოყენება ახალი პროდუქტების, მეთოდების შექმნასა და ტენდენციის დანერგვაში. თუ ამ დროს ახალი პროდუქტი არ ახდენს სხვა პატენტის დარღვევას, მაშინ ეს არის საპატენტო სისტემის მნიშვნელოვანი და ლეგიტიმური გამოყენება.

ამიტომ, მნიშვნელოვანია წინასწარი საპატენტო ძიების ჩატარება. გამოგონება თავიდან მხოლოდ იდეაა. ამ ეტაპზე მისი ბევრი დეტალი უცნობია ან გაუცნობიერებელია თავად გამომგონებლისთვისაც კი. ბევრი გამომგონებელი შეიძლება ცდილობდეს სიახლის დასადგენად ინფორმაციის მოძიებას, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა მათი გამოგონება შესაბამის კრიტერიუმს. თუმცა, სიახლის შესახებ ინფორმაციის მოძიებას გამოგონების კონკრეტული სფეროს ან კატეგორიის გამოვლენა სჭირდება. ბუნდოვან იდეაზე დაფუძნებული ძიებით შეიძლება მიიღოს ბუნდოვანი სურათი ტექნიკის დონის შესახებ. საპატენტო განაცხადის წარდგენამდე ჩატარებული ძიება გულისხმობს საჯაროდ ხელმისაწვდომი პუბლიკაციების, საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის ან ნებისმიერ ქვეყანაში უკვე გაცემული იმ პატენტების შესახებ მონაცემთა გაცნობას, რაც კონკრეტულ გამოგონებას შეიძლება უკავშირდებოდეს. ძიება, ასევე,



მოამზადებს გამომგონებელს ძიების პროცესის შემდეგი ნაბიჯებისთვის, ტექნიკის დონისა და სიახლის შესახებ ინფორმაციის მოძიებისთვის მას შემდეგ, რაც ზღვა ინფორმაცია გახდება ხელმისაწვდომი პუბლიკაციებისა და საჯარო ინფორმაციის სახით.

საპატენტო ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია იმის დასადგენადაც, არის თუ არა რომელიმე ქვეყანაში პატენტით დაცული ის ობიექტი, რომლის წარმოება და კომერციალიზაციაც სურს მეწარმეს. ამ გზით ხდება სხვისი პატენტის დარღვევის რისკის თავიდან აცილება.

საპატენტო ინფორმაციის გამოყენების შემდეგი სახეები არსებობს: ტექნიკური, სამართლებრივი, ბიზნესთან დაკავშირებული.

ტექნიკური გამოყენება გულისხმობს გარკვეული ტექნიკური პრობლემის უკვე არსებული გადაწყვეტის მოძიებას საპატენტო დოკუმენტებში. დიდი ალბათობით, მრავალი ტექნიკური პრობლემა უკვე გადაჭრილია სხვების მიერ სხვადასხვა დროს და ამ გადაწყვეტის მოძიება ხშირად შესაძლებელია არა ბაზარზე არსებული პროდუქტის სახით, არამედ სწორედ საპატენტო ბაზებში. ნებისმიერი მიმართულებით კვლევის ჩატარებამდე და ახალი პროდუქტის შექმნამდე, უმნიშვნელოვანესია ჯერ იმის შემოწმება, თუ რა შექმნეს სხვებმა ამ მიმართულებით; ეს თავიდან აგვაცილებს ველოსიპედის ხელახლა გამოგონებას და რესურსების უმიზნო ხარჯვას. თუ შევქმენით რამე გამოგონება და გვაინტერესებს თუ რამდენად პატენტუნარიანი იქნება ის, შეგვიძლია ჩავატაროთ წინასწარი მოძიება საპატენტო ბაზაში და მივიღოთ პასუხი ჩვენს კითხვაზე. ამით დავზოგავთ დროს, მატერიალურ და გონებრივ რესურსებს, ფინანსებს.

სამართლებრივი გამოყენება გულისხმობს საპატენტო ბაზებში იმის დადგენას, თუ რამდენად დაარღვევს მესამე პირის უკვე არსებულ პატენტებს რამე მოწყობილობის ან ხერხის (ტექნოლოგიის) ჩვენ მიერ კომერციული მიზნით გამოყენება. შესაძლოა, ნივთი ჩვენ არ შეგვიქმნია, თუმცა განზრახული გვაქვს მისი დამზადება, იმპორტი ან ექსპორტი. ამ დროს, პირველ რიგში, შესამოწმებელია, ხომ არ დავარღვევთ სხვის განსაკუთრებულ უფლებებს ამ გამოგონებაზე ამა თუ იმ ქვეყანაში. საპატენტო ბაზები ამის შესაძლებლობასაც იძლევა.

ბიზნესთან დაკავშირებული გამოყენების მაგალითია საპატენტო ბაზაში იმის მოძიება, თუ ვინ არიან მოცემულ დარგში წამყვანი მოთამაშე, ვინ არის ლიდერი. თუ პირს, რომელმაც შექმნა გამოგონება და მიიღო პატენტი, თავად არ გააჩნია საკმარისი რესურსები ამ გამოგონების კომერციალიზაციისთვის, საპატენტო ბაზების გამოყენებით, მას შეუძლია მოიძიოს პოტენციური პარტნიორი, მაგალითად, მოცემულ დარგში მოღვაწე ლიდერი კომპანია, რომელსაც შეუძლია შესთავაზოს საკუთარ პატენტზე ლიცენზია ან უფლებების სრული გადაცემა პატენტის მიყიდვის სახით.

ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი და უფასოდ ხელმისაწვდომი საპატენტო მონაცემთა ბაზაა „ესპასნეტი“, რომელსაც ადმინისტრირებას უწევს ევროპის საპატენტო უწყება (https://worldwide.espacenet.com/).

ნანა ედიშერაშვილი
სსიპ ქალაქ გორის #8 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

21 ᲓᲦᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲙᲠᲔᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ

გორის #8 საჯარო სკოლა ერთ-ერთი პირველია, რომელიც აქტიურად ჩაერთო საქპატენტის მიერ შეთავაზებულ ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივ პროექტში ინტელექტუალური საკუთრების შესახებ (EUGIPP). დაინტერესებული პირები ბევრ სასარგებლო ინფორმაციას გაეცნობიან სკოლის საინტერესო გამოცდილების თაობაზე, ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და მრავალფეროვან აქტივობებთან დაკავშირებით.

გლობალიზებულ და ციფრული ტექნოლოგიებით მართულ 21-ე საუკუნეში მსოფლიოს ეკონომიკური, კულტურული თუ სოციალური დოვლათის უმნიშვნელოვანეს ნაწილად შემოქმედებითი აზროვნება, ინოვაციურობა და მეწარმეობა იქცა. დღეს ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შემოქმედებითი უნარების მქონე, კრიტიკულად მოაზროვნე ახალგაზრდა თაობა, რომელსაც შეუძლია გარემოსა და სოციუმში არსებული პრობლემების ინოვაციური გადაწყვეტა. სკოლა კი ის სივრცეა, სადაც, საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე, მოზარდმა უნდა შეძლოს: „ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება, ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად; იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე. სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომელიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად“ (ზგემ).

საკუთარი ნამუშევრის/პროდუქტის/ქმნილების დაცვა და სხვისი ნამუშევრის პატივისცემა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მოქალაქეთა პროფესიულ თუ პირად ცხოვრებაში. ამიტომ ინტელექტუალური საკუთრების ძირითადი პრინციპების ცოდნა, რომელიც აგებულია საკუთარი და სხვისი იდეების პატივისცემაზე, ახალგაზრდა მოქალაქეებს ინტელექტუალური პოტენციალიდან ფინანსური, სოციალური თუ კულტურული სარგებლის მიღების შესაძლებლობას აძლევს.

მასწავლებლები მუშაობენ ინტელექტუალური საკუთრების პირველწყაროსთან – მოსწავლეთა შემოქმედებით არაორდინალურ გონებასთან, რომელიც მუდამ სავსეა ახალი იდეებით. აქედან გამომდინარე, სკოლა ბუნებრივი გარემოა ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და პატივისცემასთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად.

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა სკოლაში ისწავლონ თუ როგორ აქციონ იდეა ქმედებად. მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ საკუთარი ინტელექტუალური საკუთრების/ნამუშევრების პოტენციური ღირებულება. საკუთარი ნამუშევრის და ინტელექტუალური საკუთრების ღირებულების გაცნობიერება მოზარდებს ბუნებრივად გაუჩენს სხვათა ინტელექტუალური საკუთრებისა და კრეატიულობის მიმართ პატივისცემის გრძნობას.

რა არის ინტელექტუალური საკუთრება?

ინტელექტუალური საკუთრება არის ის, რაც ადამიანის ცოდნით ან გონებით არის შექმნილი; ის არის ადამიანის ინტელექტუალური შრომის შედეგი. იმისათვის, რომ ეს შრომის შედეგი ნათლად წარმოჩინდეს, აუცილებელია

მისი გამოხატვა რაღაც ობიექ-ტური ფორმით და სწორედ ამ ობიექტური ფორმით გამოხატულ იდეას იცავს ინტელექტუალური საკუთრება. შესაბამისად, იმი-სათვის, რომ ჩვენი იდეა ინტე-ლექტუალურ საკუთრებად იქცეს, მან უნდა გაიაროს სამი ეტაპი:

1 – იდეა უნდა დაგვებადოს გო-ნებაში;
2 – იდეა უნდა გარდაიქმნას კონ-კრეტულ კონცეფციად;
3 – კონცეფცია უნდა გარდაიქ-მნას ინტელექტუალური საკუთრების კონკრეტულ ობიექტად.

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის შემქმნელს საშუალება ეძლევა, მიიღოს სარგებელი თა-ვისი შრომისგან და იმ ინვესტი-ციისგან, რომელიც დახარჯა მის შექმნაში. შესაბამისად, ინტელექ-ტუალური საკუთრების ობიექტის მფლობელს შეუძლია, მისთვის კანონით მინიჭებული აკრძალ-ვის/გასხვისების/განკარგვის/შეზ-ღუდვის უფლების საფუძველზე, მიიღოს სარგებელი.

რატომ უნდა დავიცვათ ინტელექტუალური საკუთრება?

ინტელექტუალური საკუთრე-ბის უფლების წახალისება და დაცვა ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, საწარმოებს და ხელს უწყობს ცხოვრების დონის გაუმჯო-ბესებას. ინტელექტუალურ საკუთრებას აქვს უნარი, იყოს ყველა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული

განვითარების კატალიზატორი. ინტელექტუალური საკუთრება ცდილობს, დაიცვას ბალანსი ინოვატორებს, ინტელექტუალური საკუთრების მფლობელებსა და საზოგადოებას შორის.

ინტელექტუალური საკუთრება შეიძლება გამოიხატოს 6 უფლებით:

1. პატენტი
2. სასაქონლო ნიშანი
3. დიზაინი
4. საავტორო უფლება
5. გეოგრაფიული აღნიშვნა
6. ახალი ჯიში

როდესაც გაქვს გამოგონება – იფიქრე პატენტზე;

როდესაც ქმნი ნივთის გარეგნულ მხარეს – იფიქრე დიზაინზე;

როდესაც ქმნი ორიგინალურ გამოგონებას – იფიქრე საავტორო უფლებაზე;

როდესაც გინდა საქონელი განასხვავო სხვა მწარმოებლის საქონლისგან – იფიქრე სასაქონლო ნიშანზე.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ჩვენს ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკას განსაზღვრავს საქპატენტი. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.

2020 წლის შემოდგომიდან ჩვენი სსიპ ქალაქ გორის #8 საჯარო სკოლა აქტიურად ჩაერთო საქპატენტის მიერ შემოთავაზებულ ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივ პროექტში ინტელექტუალური საკუთრების შესახებ (EUGIPP) და ჩვენ აღმოვჩნდით იმ 4 სკოლას შორის, რომლებშიც განხორციელდა მრავალფეროვანი და საინტერესო აქტივობები ამ მიმართულებით. პროექტის ფარგლებში, სკოლის ორი მასწავლებელი შევარჩიეთ ლიდერმასწავლებლებად. ისინი ესწრებოდნენ საქპატენტის ექსპერტებისა და სპეციალისტების მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებს და მიღებულ გამოცდილებას ნერგავდნენ შერჩეულ V-VI კლასებში. ამის პარალელურად სკოლაში შეიქმნა მოსწავლეთა კლუბი, რომელშიც გაწევრიანდნენ საბაზო საფეხურის მოსწავლეებიც. სკოლას საქპატენტისგან გადმოეცა შესანიშნავი რესურსი – მოსწავლის სამუშაო რვეული – „21 დღე უფრო კრეატიული ცხოვრებისაკენ“, ყველა მოსწავლისთვის.

რვეულში მოცემული 21 კრეატიული აქტივობა, საწყის ეტაპზე, მიმდინარეობდა სადამრიგებ-

საკვანძო კომპეტენციების შემუშავება და ინტეგრირება ყველა სასწავლო პროგრამაში ეხმარება სკოლებს პროგრესის აუდიტირებაში; ასევე, საშუალებას აძლევს მათ, მოიძიონ პასუხები კითხვებზე:

რამდენად კარგად არის ინტეგრირებული საკვანძო კომპეტენციები სხვადასხვა საგნობრივ პროგრამაში?

რა შესაძლებლობებს ფლობს თითოეული საგნობრივი პროგრამა კომპეტენციების გასაძლიერებლად?

რა გავლენას ახდენს საკვანძო კომპეტენციებისა და სასწავლო სიღრმეების ინტეგრაცია მოსწავლეთა საერთო განვითარებაზე? როგორ ვიგებთ შედეგს?

საკვანძო კომპეტენციების განვითარების რომელ ასპექტებზე შეიძლება დაგვჭირდეს მეტი მუშაობა?

ლო საათზე, თუმცა მალე უფრო მასშტაბური გახდა. პროექტმა გააძლიერა „ახალი სკოლის მოდელის“ დანერგვის პროცესი სკოლაში, რადგანაც მასწავლებლებმა კრეატიული დღიურის 21 აქტივობის ტრანსფერი გააკეთეს კომპლექსურ დავალებებშიც. აქტივობებით დაინტერესდნენ მოსწავლეების და-ძმები სხვა კლასებიდან და მათაც გაუჩნდათ ჩართვის სურვილი. საპილოტე რეჟიმში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებამ და მონიტორინგმა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინტერვიუირების შედეგად მიღებულმა ინფორმაციამ პირდაპირ გვიკარნახა, რომ პროექტის მდგრადობაზე უნდა გვეფიქრა. მოსწავლეები მაქსიმალურად მოტივირებულები იყვნენ თითოეული აქტივობის შესრულებისას და დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადასვლის დროსაც კი განაგრძობდნენ აქტიურ მუშაობას.

2021 წლის გაზაფხულზე, 26 აპრილს, საქპატენტის გუნდის მხარდაჭერით, სკოლაში აღვნიშნეთ ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღე. სკოლის

ღია სპორტულ მოედანზე მოეწყო საგამოფენო სივრცე, სადაც მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა მოაწყეს პროექტის ფარგლებში შექმნილი სხვადასხვა ნამუშევრის გამოფენა: მოხატული მაისურები, ხელნაკეთი ბალიშები საყვარელი წიგნის ყდების გაფორმებით, საკლასო ოთახების ლოგოები, დიორამები, მეორადი ნივთებით დამზადებული ნაკეთობები, ნახატები, პოსტერები და ინფოგრაფიკები, ბუკლეტები და ფლაერები. ჩატარდა საჩვენებელი გაკვეთილი, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა შექმნეს ახალი ვაშლის ჯიშის „კალიანდრეს“ პროტოტიპი. თითოეულ განხორციელებულ აქტივობას და შექმნილ პროდუქტს მოსწავლეები აკავშირებდნენ ინტელექტუალური საკუთრების ცნებასთან და გამოთქვამდნენ საკუთარ დამოკიდებულებასა და აზრს.

კოორდინატორი მასწავლებლების პრაქტიკით დაინტერესდნენ სხვა მასწავლებლებიც და დაიწყო მათ შორის გამოცდილების გზიარება; შესაბამისად, ჩამოყალიბდა პროექტის მართვის სასკოლო გუნდი. საინტერესო აღმოჩნდა, ასევე, 2021-2022 სასწავლო წლის დასაწყისში განხორციელებული „სკოლის ციფრული მოწიფულობის“ რაოდენობრივი კვლევის SELFIE შედეგები. აქ მკაფიოდ გამოჩნდა

თუ რას ნიშნავს მოსწავლის ციფრული კომპეტენცია, რომელიც მოიაზრებს სხვისი ნამუშევრის პატივისცემას. დებულება ითხოვს, რომ სკოლის ადმინისტრაციამ, მასწავლებლებმა დააფიქსირონ, რამდენად სწავლობენ მოსწავლეები საავტორო უფლებების დაცვას და რამდენად ასრულებენ ამას. აღმოჩნდა, რომ ადმინისტრაციამ და მასწავლებლებმა უფრო მაღალი ქულით შეაფასეს ეს პირობა, ვიდრე თავად მოსწავლეებმა.
(https://ec.europa.eu/education/schools-go-digital)

პროექტის მდგრადობისა და სისტემური ინტერვენციისთვის სადამრიგებლო საათის ფარგლებში, სასკოლო გუნდის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა სასკოლო პროექტი „21 დღე უფრო კრეატიული ცხოვრებისკენ“.

მოცემული პროექტი 2022-2023 სასწავლო წელსაც უწყვეტად მიმდინარეობს ჩვენს სკოლაში, კიდევ მეტ შემოქმედებით იდეას აჩენს მოსწავლებშიც და მასწავლებლებშიც. სკოლა კვლავ აქტიურად თანამშრომლობს საქპატენტთან. 2022 წლის აპრილში საქპატენტის მიერ ინიცირებულ სასკოლო ინფოგრაფიკების კონკურსის ორივე ასაკობრივ კატეგორიაში საუკეთესო ნამუშევრებად შეირჩა ჩვენი მოსწავლეების მიერ წარდგენილი ინფოგრაფიკები: „გზა უკეთესი მომავლისკენ“ (VI კლ.), „ქალები, რომლებმაც შეცვალეს სამყარო“ (VIIIკლ.).

ჩვენი სასკოლო პროექტი „21 დღე უფრო კრეატიული ცხოვრებისაკენ“ კვლავ გრძელდება. საქპატენტის მხარდაჭერით, ამ ეტაპზე პროექტის განხორციელებაში ჩაერთნენ საბაზო საფეხურის მოსწავლეებიც. მიმდინარე სასწავლო წლის ფარგლებში განხორცილებულ აქტივობებს კი საზოგადოებას კვლავ 26 აპრილს წარვუდგენთ. ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღე, რომელიც უკვე მესამე წელია დიდი მონდომებით აღინიშნება სკოლაში, ჩვენი კულტურის ნაწილი გახდა.

პროექტის მიზანი:

- დამრიგებლის მუშაობის, სადამრიგებლო საათის ეფექტიანობის გაზრდა;
- მოსწავლეებში ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებების დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება, შემოქმედებით-კრეატიული აზროვნების, ინოვაციურობისა და სამეწარმეო უნარების განვითარების წახალისება.

ამოცანები:

- გაკვეთილების ციკლის ორგანიზებისათვის V-VI-VII-VIII-IX კლასების დამრიგებელთა პროფესიული გადამზადება; ლიდერი მასწავლებლების გამოცდილების გაზიარება; კრეატიულობას, ინოვაციას, მეწარმეობასა და ინტელექტუალურ საკუთრებას შორის კავშირების, მათი საგანთაშორისი ტრანსფერის გადააზრება;
- გაკვეთილების ციკლის დაგეგმვა-ორგანიზება და ჩატარება სადამრიგებლო საათზე;
- მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობისათვის, მათი ინტერესების მიხედვით, სხვადასხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დღეების (წიგნის კითხვის საერთაშორისო დღე, ქალთა საერთაშორისო დღე, დედამიწის დღე, ბუნების დაცვის დღე და ა. შ.) აღნიშვნა შესაბამისი აქტივობებით;
- ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღის აღნიშვნა.

ჩართული მხარეები:

- V-1, V-2, VI-1, VI-2, VII-1,VII-2, VIII, IX კლასები
- V-1, V-2, VI-1, VI-2, VII-1,VII-2, VIII, IX კლასების დამრიგებლები (7 მასწავლებელი)
- 2 კოორდინატორი მასწავლებელი

შეფასება და მონიტორინგი:

- დაკვირვება სამუშაო პროცესებზე;
- დაკვირვება სადამრიგებლო საათზე;
- მოსწავლეთა ფოკუსჯგუფი;
- მასწავლებელთა ფოკუსჯგუფი.

მიღწევის ინდიკატორები:

- ჩატარებული სამუშაო შეხვედრები მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის ფარგლებში;
- სადამრიგებლო საათები 21 კრეატიული აქტივობით;
- ჩატარებული გაკვეთილები 21 კრეატიული აქტივობით;
- ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღის აღნიშვნა;
- მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა;
- პროექტის პორტფოლიო.

პროექტის სარგებელი:

- სადამრიგებლო მუშაობის გაძლიერება;
- თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერება;
- მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდა;
- სკოლის პოპულარიზაციის მატება.

პროექტი თავისი მასშტაბებით ფარავს ევროპული კომპეტენციების ჩარჩოს რამდენიმე მიმართულებას.



კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან:

მიზანი 8: ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის, სრული და პროდუქტიული დასაქმებისა და ღირსეული სამუშაოს ხელშეწყობა.

მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.

სტატიაში გამოყენებული რესურსები:

საქპატენტის ვებ-გვერდი:

https://www.sakpatenti.gov.ge


პასუხისმგებლობა
ინიციატივა
საქმიანობის
დაგეგმვა
რისკების
ტოლერანტობა
ინფორმაციის
მოძიება
ინოვაცია
მენარმეობა
ინვესტიცია
მომავალში
მიღწევების
მიზნები
საჭიროებების
დაკმაყოფილება



www.tpdc.ge